

# საქართველოს მთავრობის

## დადგენილება №96

2023 წლის 10 მარტი

ქ. თბილისი

**ტექნიკური რეგლამენტის – ჭაჭუნის აღკვეთილის მენეჯმენტის გეგმის დამტკიცების თაობაზე**  
**მუხლი 1**

„დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-4 პუნქტისა და პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, დამტკიცდეს თანდართული „ტექნიკური რეგლამენტი – ჭაჭუნის აღკვეთილის მენეჯმენტის გეგმა“.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

**ტექნიკური რეგლამენტი – ჭაჭუნის აღკვეთილის მენეჯმენტის გეგმა**

### თავი 1. შესავალი

**მუხლი 1. მენეჯმენტის გეგმის მიზნები და მოქმედების არეალი**

1. წინამდებარე მენეჯმენტის გეგმა შემუშავდა ჭაჭუნის აღკვეთილისათვის (შემდგომში – აღკვეთილი), „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე.
2. მენეჯმენტის გეგმის მიზანს წარმოადგენს დაცული ტერიტორიისათვის გრძელვადიანი მიზნების და მართვის შესაბამისი მიდგომების განსაზღვრა.

**მუხლი 2. ჭაჭუნის აღკვეთილის მარეგულირებელი საკანონმდებლო და ინსტიტუციონალური ჩარჩოს აღწერა**

ჭაჭუნის აღკვეთილის მენეჯმენტის გეგმის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს კანონები: „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონი, „დაცული ტერიტორიების სტატუსის“ საქართველოს კანონი და საქართველოში მოქმედი სხვა კანონმდებლობა.

**მუხლი 3. ჭაჭუნის აღკვეთილის შექმნის ძირითადი მიზნები**

ჭაჭუნის აღკვეთილის ტერიტორიებზე არსებული ეკოსისტემების გრძელვადიანი დაცვა, მდგრადი გამოყენება და აღდგენა, რაც ხელს შეუწყობს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას, ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენებას, მასში და მის მიმდებარედ ეკოტურისტული საქმიანობის განვითარებას, ასევე, ადგილობრივ თემში გარემოსდაცვითი განათლებისა და ცნობიერების ამაღლებას.

**მუხლი 4. მენეჯმენტის გეგმის შემუშავების პროცესი**



1. მენეჯმენტის გეგმა შეიქმნა Cambridge Conservation Initiative -ის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის – „მდინარე ივრის ჭალის ტყეებისა და მიმდებარე ტერიტორიების აღდგენა“ – ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს საზოგადოება ბუნების კონსერვაციისთვის – საბუკო, Birdlife International-ისა და სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან თანამშრომლობით. გეგმა მოამზადა ააიპ „საქართველოს დაცული ტერიტორიების მეგობართა ქსელის“ ეროვნული კონსულტანტების გუნდმა, ჭაჭუნის აღკვეთილის ადმინისტრაციასთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით. გეგმის შედგენისას სრულად დაცულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 12 მარტის №110 ბრძანებაში განსაზღვრული პროცედურები.

2. მენეჯმენტის გეგმის შედგენის პროცესი შემდეგი ეტაპებისგან შედგებოდა:

**ცხრილი 1: ჭაჭუნის აღკვეთილის მენეჯმენტის გეგმის შექმნის ეტაპები (2020 წ.)**

№	თარიღი	აქტივობა
1	26 – 27 თებერვალი	სამუშაო შეხვედრა ჭაჭუნის აღკვეთილის ადმინისტრაციაში (მენეჯმენტის გეგმის შექმნის პროცესის დაგეგმვა, მენეჯმენტის გეგმის შეთანხმება, ტრენინგის ჩატარება მენეჯმენტის გეგმის შექმნის მეთოდოლოგიის გასაცნობად), განხილულ იქნა მენეჯმენტის გეგმის I თავი და ჯგუფური სამუშაოს მეშვეობით განისაზღვრა ჭაჭუნის აღკვეთილის ძირითადი ფასეულობები.
2	28 მაისი	ჭაჭუნის აღკვეთილის ადმინისტრაციაში ჩატარდა ონლაინ სამუშაო შეხვედრა ადგილობრივ სამუშაო ჯგუფთან, სადაც განხილულ იქნა მენეჯმენტის გეგმის II და III თავები, შემუშავდა გრძელვადიანი მიზნები და ამოცანები.
3	9-10 ივლისი	ჭაჭუნის აღკვეთილის ადმინისტრაციის თანამშრომლებთან ერთად შეიქმნა მენეჯმენტის გეგმის პროგრამების პირველი ნაწილი.
4	6-7 აგვისტო	ჭაჭუნის აღკვეთილის ადმინისტრაციის თანამშრომლებთან ერთად შეიქმნა მენეჯმენტის გეგმის პროგრამების მეორე ნაწილი.
5	30 აგვისტო	მომზადდა მენეჯმენტის გეგმის პირველი სამუშაო ვერსია (გარდა ზონირებისა) და გადაეგზავნა სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს და ადმინისტრაციას განსახილველად.
6	20 ივნისი, 2022 წ	გაიმართა დოკუმენტის საჯარო განხილვა

**მუხლი 5. მენეჯმენტის გეგმის მოქმედების პერიოდი, ცვლილების შეტანა და განახლება**

მენეჯმენტის გეგმა ძალაშია მისი დამტკიცებიდან მომდევნო 9 წლის განმავლობაში, გარდა მენეჯმენტის გეგმის 38-ე მუხლისა, რომელიც ძალაშია ახალი მენეჯმენტის გეგმის დამტკიცებამდე.

**მუხლი 6. მენეჯმენტის გეგმაში ცვლილების შეტანა და განახლება**

1. მენეჯმენტის გეგმაში ცვლილების შეტანა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
2. წინამდებარე მენეჯმენტის გეგმის ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს მეცხრე წლის პირველი



კვარტლისა, სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტო დაიწყებს ახალი მენეჯმენტის გეგმის მომზადებას, რომელიც მიღებული იქნება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## თავი 2. ჭაჭუნის ალკვეთილის ტერიტორიების აღწერა

### მუხლი 7. ადგილმდებარეობა და ფართობი

1. ჭაჭუნის ალკვეთილი მდებარეობს საქართველოს უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთით, დედოფლისწყაროს რაიონში, ზღვის დონიდან 250-500 მეტრზე. მისი ტერიტორია განლაგებულია ივრის ზეგანზე და მიუყვება მდინარე ივრის ორივე ნაპირს. ჭაჭუნის ალკვეთილი თბილისიდან დაშორებულია 170, ხოლო დედოფლისწყაროს მუნიციპალური ცენტრიდან დაახლოებით 50 კილომეტრით. ჩრდილო-დასავლეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით ალკვეთილს ესაზღვრება ზამთრის საძოვრები, სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით, ასევე, ესაზღვრება საძოვრები და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიები. ალკვეთილი გადაჭიმულია ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით. მისი სიგრძე – 70, ხოლო სიგანე – დაახლოებით 20 კილომეტრია.

2. ჭაჭუნის ალკვეთილის საერთო ფართობი შეადგენს – 5,032 ჰა-ს.

### მუხლი 8. ჭაჭუნის ალკვეთილის ადგილმდებარეობა ეროვნულ დონეზე

1. ჭაჭუნის ალკვეთილი ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებთან (ვაშლოვანის სახელმწიფო ნაკრძალი, ვაშლოვანის ეროვნული პარკი, ალაზნის ჭალის, ტახტი-თეფას და არწივის ხეობის ბუნების ძეგლები) ერთად ქმნის დაცული ტერიტორიების სისტემას საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, კერძოდ კი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში (დანართი 1, 2). აგრეთვე, ის არის კახეთის რეგიონში მდებარე დაცული ტერიტორიების სისტემის ნაწილი ლაგოდეხის, ბაწარა-ბაზანეურის და თუშეთის დაცული ტერიტორიების სისტემებთან ერთად (დანართი 3).

2. აგრეთვე, UNESCO-ს „ადამიანი და ბიოსფეროს“ პროგრამის სამდივნომ, შენიშვნების გარეშე, დააკმაყოფილა საქართველოს მთავრობის მიერ წარდგენილი დოსიე „დედოფლისწყაროს ბიოსფერული რეზერვატის“ შექმნის საჭიროებასთან დაკავშირებით, რომლის აღიარებაც (სტატუსის მინიჭება) განხორციელდა 2022 წლის ივნისში, რომლის ბუფერული ზონის ნაწილს წარმოადგენს ჭაჭუნის ალკვეთილის ტერიტორიაც (დანართი 17).

### მუხლი 9. ჭაჭუნის ალკვეთილის ისტორია

1965 წელს დედოფლისწყაროს რაიონში შეიქმნა ჭაჭუნის სახელმწიფო სატყეო-სამონადირეო მეურნეობა, რომელიც 1996 წელს ჩამოყალიბდა ჭაჭუნის ალკვეთილად.

### მუხლი 10. ჰიდროლოგია და გეოლოგია

1. ჰიდროლოგია:

ა) ჭაჭუნის ალკვეთილის ტერიტორიაზე ჰიდროლოგიური ქსელი წარმოდგენილია ერთადერთი მდინარე იორით, რომელიც ალკვეთილს ორ ნაწილად ჰყოფს (დანართი 4).

იორი სათავეს იღებს კავკასიონის მთავარი ქედის ერთ-ერთ განშტოებაზე—ქართლის ქედზე, მწვერვალ



ბორბალოსთან (2619 მ. ზ.დ-დან). სათავიდან მდინარე მიედინება სამხრეთის მიმართულებით, საგარეჯოსთან მკვეთრად უხვევს აღმოსავლეთით და მიედინება ივრის ზეგანზე. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში იგი უახლოვდება და მიუყვება აზერბაიჯანის საზღვარს, სცდება საქართველოს საზღვრებს და ჩაედინება მინგეჩაურის წყალსაცავში (83 მ. ზ.დ-დან). ჭაჭუნის ალკვეთილის ტერიტორიას მდინარე იორი კვეთს ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით. აღნიშნულ ტერიტორიაზე მდ. იორი წარმოადგენს მთავარ არტერიას, რომელიც აკავშირებს ერთმანეთთან მაღალი მთის ტყეებსა და არიდულ და სემიარიდულ ეკოსისტემებს. მდ.იორის სიგრძე დაახლოებით 320 კმ-ია, აუზის ფართობი – 4,650 კვ. კმ., წყლის საშუალო ხარჯი შესართავთან 450 კმ-ში 12 კუბ. მ/წამია. ალკვეთილის ტერიტორიაზე მდ. იორის სიგრძე უდრის 70 კმ-ს, სიგანე დაახლოებით 20 მეტრია, სიღრმე საშუალოდ 0,5 მ-დან 1 მეტრამდე მერყეობს, თუმცა, ზოგიერთ ადგილზე მისი სიღრმე 2 მეტრსაც აღწევს. მდ. იორის კალაპოტი დაკლაკნილია, ნაპირები ბევრ ადგილას ჩამოშლილია, ფსკერი ქვიანია. მდ. იორი იკვებება, უმთავრესად, ატმოსფერული ნალექებით, წვიმის წყლით, თოვლის ნადნობით და ნაწილობრივ გრუნტის წყლებით. გაზაფხულსა და შემოდგომაზე, წვიმიან პერიოდში მდინარე წყალუხვია, ხოლო ზაფხულსა და ზამთარში – შედარებით წყალმარჩხი;

ბ) გრუნტის წყლები ალკვეთილის ტერიტორიაზე დიდ სიღრმეზეა განლაგებული, ამიტომ წყაროები აქ არ არის. არ არის არც ტბები. მდინარის ზეგავლენა მხოლოდ დაბლობის ვიწრო ზოლზე ვრცელდება. დაბლობის ჩრდილოეთით, ივრის ზეგნის ამ ნაწილში ბევრია მშრალი და პერიოდულად წყლიანი ხევ - ხრამები, რომლებშიც წყალი ღვარცოფულად გადის მხოლოდ ძლიერი წვიმების დროს. ხევებიდან გამომავალი წყლის ნაკადი დაბლობის მხოლოდ ჩრდილო ნაწილამდე აღწევს. აღნიშნული მშრალი ხევ - ხრამები არ ახდენს გავლენას უდაბნოს მცენარეულობის გავრცელებაზე.

2. გეოლოგია: გეოლოგიურად ჭაჭუნის ალკვეთილი შედის ამიერკავკასიის მთათაშუა ოლქში. ჭაჭუნაში გვხვდება ქვიშები, ქვიშაქვები, თიხები, ვულკანური ფერფლის შრეები და რიყნარები. ალკვეთილის ნაწილი კირქვული კონგლომერატებითაა აგებული. ალკვეთილის სიახლოვეს ვხვდებით საფლუსე და საკირე კირქვის საბადოებს, აგრეთვე, ბიტუმის შემცველობის კირქვის გამოსავლებსა და მცირე ტბების სახით წარმოდგენილ ბიტუმის დანაგროვებებს.

## მუხლი 11. ლანდშაფტები და ჰაბიტატები

1. ლანდშაფტები: ჭაჭუნის ალკვეთილის ტერიტორია მიეკუთვნება მშრალი სტეპებისა და ნახევარუდაბნოების ზონებს, რომელშიც ვხვდებით ჭალის ტყეებისა და არიდულ-სემიარიდული სისტემებისთვის დამახასიათებელ ლანდშაფტებს (სტეპი, ტყესტეპი, არიდული ნათელი ტყე, ნახევრადუდაბნო). ალკვეთილის რელიეფი ერთგვაროვანი არ არის, ბორცვები, თიხნარი გორაკები, ციცაბო ფერდობები, ტერასები და მშრალი ხევები ძალზე სწრაფად მონაცვლეობენ და თავისებურ, საკმაოდ ლამაზ ლანდშაფტს ქმნიან.

2. რელიეფი: ალკვეთილი წარმოდგენილია მდინარე ივრის ზეგნით, რომელშიც გამოიყოფა რელიეფის შემდეგი ფორმები: მდინარე იორის დაბლობი, ბორცვები, გორაკები, ფერდობები, ტერასები, ხევები და თიხნარი ფლატეები ე.წ. ალესილები. ივრის ზეგნის სამხრეთ-აღმოსავლეთი და სამხრეთი ნაწილი ხასიათდება მეტად რთული რელიეფით, რომლის აბსოლუტური სიმაღლე 100-1000 მ-ის ფარგლებში მერყეობს. აქ სახეზეა ასიმეტრიული სერებისა და მათ შორის მდებარე ვაკეების რთული ურთიერთმონაცვლეობა. ალკვეთილის ტერიტორიის ქანები აგებულია, ძირითადად, მესამეული და მეოთხეული პერიოდების ძველი ნალექებით. წარსულში და ამჟამად მოქმედმა ენდოგენურმა და ეგზოგენურმა (შრეთა დახრილობა და მიმართულება, ფიზიკური და ქიმიური გამოფიტვის პროცესების ინტენსივობა, ეროზიული პროცესები და სხვ.) ფაქტორებმა განაპირობეს რელიეფის უცნაური ფორმების შექმნა. ტერიტორიაზე გავრცელებულია ქვიშა-ქვების და თიხნარების ნაფენები, აგრეთვე, გაჯიანი, კარბონატულ-თიხიანი ქანები და კირქვის ფრაგმენტები. ამ პროცესების შედეგია ვიწრო გამკვეთი ხევხუვები, გადარეცხილი ფერდობები (ხშირად ეროზირებული და მშრალი ხევებით გადაკვეთილი) და ვერტიკალური კედლები-ალესილები. თაბაშირის შემცველ ზღვიურ თიხებში განვითარებულია უამრავი ფსევდოკარსტები, რომლებიც მრავლადაა ჭაჭუნის სამხრეთით მდებარე სერების მასივებზე. მდინარის ვაკეებზე გვხვდება ალუვიონები.



3. ნიადაგები: ჭაჭუნის ალკვეთილის ტერიტორიაზე გავრცელებულია შემდეგი ტიპის ნიადაგები (დანართი 5): ივრის ხეობაში, მდინარის გასწვრივ ჭალის ტყეებში გვხვდება ალუვიური, ხოლო ქედებსა და გორაკ-ბორცვიან ადგილებში – მთა-მდელოს ნიადაგები, რომლებიც ხასიათდება გაჯიანი, კარბონატული, თიხიანი და კირქვიანი ფენებით. ალესილები კი აგებულია თიხნარი ნაფენებით. ალკვეთილის ტერიტორიაზე გვხვდება, აგრეთვე, ნახევარ-უდაბნოებისა და სტეპებისათვის დამახასიათებელი ქვიშა-ქვიანი ნიადაგები. აქ გავრცელებული ნიადაგების კლასიფიკაცია ასეთია:

ა) რუხი - ყავისფერი ნიადაგები – ძირითადად განვითარებულია ვაკეებსა და სხვადასხვა დაქანების მქონე ფერდობებზე. ეს ნიადაგები საშუალოდ თიხნარი, სუსტად დამუშავებული საშუალოდ ბიკობიანია. ამ ტიპში ორ ქვეტიპს გამოყოფენ: რუხი ყავისფერი და მდელოს რუხი ყავისფერი ნიადაგები;

ბ) ალვეოლურ - კარბონატული დიდი სისქის ნიადაგები გვხვდება მდინარე ივრის მარცხენა ნაპირზე და ალკვეთილის ტერიტორიის სამხრეთ ნაწილში. ეს ნიადაგები არის სუსტად დამლაშებული, სუსტი თიხნარი და სუსტად ხირხატიანი.

#### 4. კლიმატი:

ა) რეგიონი საქართველოში ყველაზე მშრალი ჰავით გამოირჩევა. ჭაჭუნისთვის თბილი კონტინენტური, ზომიერი კლიმატია დამახასიათებელი. აქ გაბატონებული მშრალი კლიმატი შედარებით ცივი ზამთრით, ხანგრძლივი ცხელი ზაფხულით, ნალექების ორი მაქსიმუმითა (გაზაფხული და შემოდგომა) და ორი მინიმუმით (ზამთარი და ზაფხული) გამოირჩევა;

ბ) ივრისპირეთის ჩრდილოეთით მდებარე ივრის ზეგნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილის სერებისა და მათ შორის მდებარე დეპრესიული ვაკეებისათვის საშუალო წლიური ტემპერატურა 13°C-ია. იანვრის საშუალო ტემპერატურა -2,5°C-ის ფარგლებშია. აბსოლუტური მინიმუმი -20°C-მდეა. თოვლის საფარი მცირეა, სამხრეთ ფერდობებზე არამდგრადია, ჩრდილო ფერდობებზე შედარებით დიდხანს დევს. გაზაფხული არამდგრადია და სხვა სეზონებთან შედარებით-ნალექიანი. აპრილის საშუალო ტემპერატურა 11-12°C-ია. ზაფხული უნალექია. ივლისის საშუალო ტემპერატურა ჩრდილში 22°C-ის ფარგლებშია. შემოდგომა თბილი, მდგრადი და ხანგრძლივია. ოქტომბრის საშუალო ტემპერატურა 13°C-ია;

გ) ატმოსფერული ნალექების საშუალო წლიური ჯამი 180 - 200 მმ-ის ფარგლებშია. აორთქლებადობა 900 – 1,000 მმ-ია, დატენიანების კოეფიციენტი 0,4-0,6;

დ) მინიმალური ტემპერატურა ფიქსირდება იანვარში -11°, -17°C, თუმცა ასეთი ყინვები აღინიშნება მხოლოდ მაღლობ ადგილებში და ვრცელ ველობებზე, ხოლო ჭალის ტყეებში მსგავსი ძლიერი ყინვები არ იცის. ზამთარში თოვლის საფარის სისქე დიდი არ არის და აღწევს 3-5 სმ-ს, გრძელდება 3-4 დღის მანძილზე. ადრეული ყინვები ალკვეთილში შეიმჩნევა ნოემბერში, გვიანი ყინვები კი – აპრილის მეორე დეკადაში;

ე) გაბატონებულია ჩრდილო-დასავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის ქარები, რომლებიც აღინიშნება, ძირითადად, თებერვალ-მარტში. ზაფხულში ალკვეთილის ტერიტორიაზე ქრის აღმოსავლეთის მშრალი ქარი, ე.წ. ფიონები. ალკვეთილში აღინიშნება მზის მაღალი რადიაციაც. ასეთი კლიმატური პირობები კი იწვევს ნიადაგის გამოფიტვა-გათიხების პროცესების გააქტიურებას.

#### 5. ჰაბიტატები

ა) ჭაჭუნის ალკვეთილში რამდენიმე სახის ჰაბიტატს გამოყოფენ: ჭალის ლემამბიანი ტყე და

ჭალის შერეული ტყე – Riparian mixed forests of *Quercus robur*, *Ulmus laevis* and *Ulmus minor*, *Fraxinus excelsior* or *Fraxinus angustifolia*, along the great rivers (*Ulmenum minoris*). ჭალის ლემამბიანი ტყე გვხვდება დიდი მდინარეების სანაპიროზე, დაბლობ ადგილებში. დომინანტი სახეობებია ჭალის მუხა (*Quercus pedunculiflora=Q. longipes*), თეთრი ვერხვი (*Populus alba*), ფმატი (*Elaeagnus angustifolia*), იალღუნი (*Tamarix ramosissima*, *T. hohenackeri*), ქაცვი (*Hippophae rhamnoides*). ხეები დაფარულია ლიანებით – *Vitis vinifera ssp. Sylvestris*, *Periploca graeca*, *Cynanchum acutum*, *Solanum persicum*, etc. ივრის ჭალის ტყეში გვხვდება ჭალის მუხა, თეთრი ვერხვი და თელა. იშვიათია იფანი, თუთა და ფმატი.



ქვეტყეში მრავალად გვხვდება, ასევე, იალღუნნი, კუნელი, ბროწეული და კოწახური. ლიანებიდან აღსანიშნავია კატაბარდა, ბალახეულობიდან - *Cynanchum acutum*, *Plantago lanceolate*, *Sisymbrium loeselii* და ისლები;

ბ) ასოცირებული ჰაბიტატის ტიპები:

ბ.ა) მდინარის სანაპირო ტყე;

ბ.ბ) ტენიანი მდელო;

ბ.გ) ჭაობი;

ბ.დ) ვეპიანი ნახევარუდაბნოს ნაკვეთები;

გ) ბუნებრივი და ნახევრად ბუნებრივი მშრალი მდელოები:

გ.ა) ნახევრად უდაბნოს მცენარეულობა: ნახევრად უდაბნოს მცენარეულობა იკავებს აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს არიდული რეგიონის დიდ ნაწილს, სადაც ნაკლებადაა წარმოდგენილი ბუჩქნარი და მეტია ბალახოვანი მცენარეულობა. თუმცა, ბუჩქების ცალკეული ინდივიდები შერეულია ამ თანასაზოგადოებებში. ამ თანასაზოგადოებების დომინანტი სახეობებია: *Anabasis aphylla*, *Salsola ericoides*, *S. dendroides*, *S. glauca*, *Gamanthus pilosus*, *Suaeda microphylla*, *Petrosimonia brachiata*, *Aellenia glauca*, *Kalidium capsicum*. ნახევრად უდაბნოსთვის დამახასიათებელია ეფემერების და ეფემეროიდების არსებობა: *Tulipa eichleri*, *Allium atrviolaceum*, *Poa bulbosa*, *Colpodium humile*, *Bromus japonicus*, *Alyssum desertorum*, *Helianthemum salicifolium*, etc. ბუჩქებიდან გვხვდება *Nitraria schoeberi*. ეროზირებული და ჩამორეცხილი ფერდობები თხლად არის დაფარული მარცვლოვანი და ბალახოვანი მცენარეებით: *Festuca sulcate*, *Stipa szovitsiana*, *Artemisia fragrans*, etc;

გ.ბ) სტეპის მცენარეულობა: სტეპის მცენარეულობა წარმოადგენს არიდულ რეგიონში ნახევრად უდაბნოს მცენარეულობის გაგრძელებას ზღვის დონიდან სიმაღლის შესაბამისად. მეორე მხრივ, იგი ესაზღვრება არიდულ ნათელ ტყეებს. დომინანტი სახეობა სტეპში არის ურო – *Bothriochloa ischaemum*, რომლის გვარი ფართოდაა გავრცელებული დედამიწის ორივე ნახევარსფეროში.

## მუხლი 12. ბიომრავალფეროვნება

1. ტყის ეკოსისტემები და ფლორა:

ა) ჭაჭუნის აღკვეთილის მცენარეულობა ორიგინალური და მრავალფეროვანია. აღკვეთილის კლიმატურმა და ფიზიკურ-გეოგრაფიულმა პირობებმა განაპირობეს მეტად თავისებური და მრავალფეროვანი მცენარეული საფარის განვითარება. მდინარე იორის ქვედა დინების თავისებურებაა აღკვეთილში მშრალი სუბტროპიკული არიდული კლიმატის ზონის არსებობა, რომელიც დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მატულობს, რის გამოც იცვლება მცენარეული საფარი ვერტიკალურად;

ბ) მდ. იორის კალაპოტის მიმდებარე დაბლობებზე, ვაკე-ტაფობებსა და გამოტანის კონუსებზე გვხვდება ტირიფი და ქაცვი, სუსტად დამლაშებულ ნიადაგებზე გაბატონებულია იალღუნნი, რომელიც ქმნის ხშირ რაყებს;

გ) მდინარე იორის სანაპირო ზოლში, ვაკე-ჭალაზე და I-II ტერასებზე გავრცელებულია ტუგაის ტიპის ჭალის ტყე, ხოლო მიმდებარე გორაკებზე – არიდული ნათელი ტყეების, ნახევრად უდაბნოსა და სტეპური მცენარეულობის ფრაგმენტებითაა წარმოდგენილი. პირველი ტერასის მცენარეულობას წარმოადგენს ვერხვნარ – თელნარები (*Populeta - Ulmeta*) გრძელყუნწა მუხის (*Quercus longines*) მონაწილეობით. ჭალის ტყის დომინანტი სახეობებია: თეთრი (*Populus canescens*) და შავი ვერხვი (*Populus nigra*), გრძელყუნწა მუხა (*Quercus longines*) და ტირიფი (*Salix alba*). უშუალოდ მდინარის ნაპირს მიუყვება ტირიფის (*Tilia cordata*) ზოლი, მას მოსდევს ვერხვის (*Populus hybrida*), თელის (*Ulmus*



*glabra* და *Ulmus minor*), რცხილის (*Carpinus caucasica* Grossh.), ნეკერჩხლის (*Acer campestre* L.), თუთის (*Morus alba* L.), ივანის (*Fraxinus excelsior*), კაკლის (*Juglans regia*), აკაციის (*Acacia* sp.), ჯარგცილას (*Carpinus orientalis*), ქაცვის (*Hippophae rhamnoides*), ძეძვის (*Paliurus spina-Christi* Mill.), იაღლუნია (*Tamarix* sp.) და ველური ფშატის (*Elaeagnus angustifolia*) ფოტოცენოზები;

დ) მეორე ტერასაზე გაბატონებულია ჭალის მუხნარები. მდინარის ნაპირებზე გვხვდება ლერწამი (*Pragmites australis*). ამ ტერასის განაპირა ნაწილში მუხნარები მეჩხერდება და იცვლება მეორადი წარმოშობის ძეძვიანებით. მუხნარის და კვეის ხის მეჩხერებში შერეულია ფშატისა და ბერყენას რაყები;

ე) ქვეტყეში წარმოდგენილია: წითელი (*Crataegus kyrtostyla* Fing) და შავი კუნელი (*Crataegus nigra*), შინდი (*Cornus mas*), მაყვალი (*R. fruticosus*), კვინჩხი (*Prunus spinosa* L.), შინდანწლა (*Thelycrania australis* (C. A. M.) K. San.), ძეძვი (*Paliurus spina-Christi* Mill.), იაღლუნი (*Tamarix* sp.), ქაცვი (*Hippophae rhamnoides*), კვიდო (*Ligustrum vulgare* L.), ჭანჭყატი (*Euonymus* sp.), ასკილი (*Rosa canina*), ზღმარტლი (*Mespilus germanica*), ტყემალი (*Prunus spinosa*), ბროწეული (*Punica granatum* L.), ცხრატყავა (*Lonicera iberica*), ჭალაფშატა (*Elaeagnus angustifolia* L.), კოწახური (*Berberis vulgaris* L.). ჭალის ტყის მხვიარა მცენარეები ჩვეულებრივი (*Hedera helix*) და პასტუხოვის სურო (*Hedera pastuchowii*), ლიანები, ეკალიჭი (*Smilax excelsa*), კატაბარდა (*Clematis vitalba* L.), ღვედკეცი (*Periploca græca*), მაყვალთან (*Robus cyri*) და ქვეტყესთან ერთად ქმნიან გაუვალ ადგილებს, რითაც იქმნება საუკეთესო პირობები ცხოველების თავშესაფრისა და ბუდობისთვის. აღნიშნული ადგილები, ასევე, ითვლება მათ საკვების ბაზადაც;

ვ) ივრის ნაპირას დაბლობ, ტენიან ადგილებში გავრცელებულია შემდეგი ბალახოვანი მცენარეები: ისლი (*Carex* sp.), აბზინდა (*Artemisia absinthium* L.), ძირტკბილა (*Polypodium vulgare* L.), ბაბუაწვერა (*Taraxacum Officinale* W g g), ძეძვი (*Paliurus spina-Christi* Mill), მინდვრის ცოცხი (*Lygia passerina* (L.) Fas.), წივანა (*Festuca ovina* L.), ნემსიწვერა (*Pelargonium* sp.), ავშანი (*Artemisia Phyllostachys* (Boiss.) G. Wor.), ლელი (*Phragmites communis* Trin), ლერწამი (*Arundo donax* L.), თივაქასრა (*Poa nemoralis* L.), კრაზანა (*Hypericum* sp.), მელაკუდა (*Alopecurus myosuroides* Huds.), ბირკა (*Caucalis daucoides* L.) და სხვა.

2. არიდული ტყეები აღკვეთილის მცენარეულობის ერთ-ერთი ყველაზე უფრო დამახასიათებელი ტიპია. ისინი ფერდობების ქვედა ნაწილში და რბილ ფორმებზე (გორაკბორცვები, გავაკებები, ხევისპირები) არის განვითარებული. არიდული მეჩხერების დომინანტია საკმლის ხე/საღსაღაჯი/კვეის ხე (*Pistacia mutica*). საკმლის ხისა და სიმშრალის მოყვარული სხვა მერქნიანი მცენარეებისაგან შემდგარი მეჩხერი (ნათელი) ტყეები წარსულში სავანის მსგავს ტიპს ქმნიდა. ამჟამად, ამ უნიკალური ლანდშაფტის მცირე ნაშთებიღაა შემორჩენილი.

3. აღკვეთილში არიდული ნათელი ტყეების ორი ძირითადი ფორმაციაა წარმოდგენილი:

ა) საკმლისხიანი (*Pistacia mutica*);

ბ) ღვიიანი (*Junipereta foetidissima*, *Junipereta polycarpus*).

4. საკმლის ხის (*Pistaceeta*) მცენარეული ასოციაციები მდინარე ივრის ნაპირებზე არსებულ ჭალის ტყეს არშეიხვეთ აქვს შემოვლებული.

5. ღვიანებს (*Junipereta*) (შავი ღვია (*Junipereta foetidissima*), მრავალნაყოფა ღვია (*Junipereta polycarpus*) უმეტესად სერების ფერდობების შუა და ზემო ნაწილი უჭირავთ. ღვიის იშვიათი რელიქტური სახეობები ნათელ, გამეჩხერებულ შერეულ პატარ-პატარა ზომის ტყეებს წარმოქმნიან. ზოგჯერ კი ღვიები ერთეული სახით გვხვდება. ეს ლანდშაფტი განსაკუთრებით ლამაზია გაზაფხულზე - ეფემერების მასობრივი ყვავილობის დროს. სერებსა და გორაკებზე გარკვეული ფართობები უჭირავს მთის ქსეროფიტთა დაჯგუფებებს, რომელშიც გლერძის (*Astragalus*), ბეგქონდარას (*L.Thymus* sp.) და სხვა სახეობები ბატონობს.

6. მდინარისაგან დამორებულ ზეგანზე უმეტესი ფართობები, გორაკების ფერდობები ქვევიდან ზევით, უჭირავს რელიქტურ-უროიან (*Andropogon ischaemum* L) და ტიპიურ ვაციწვერიან (*Stipa* sp.) სტეპებს, რომლებიც ხშირად ჯაგეკლიანი, ძირითადად ძეძვიანი (*Paliurus spina-Christi* Mill.) ვარიანტებითაა წარმოდგენილი.

7. უროიანი ველები, ძირითადად, წარმოდგენილია: წმინდა უროიანი (*Andropogon ischaemum* L.),



უროიან - წივანიანი (*Andropogoneta-Festueteta*), უროიან - ვაციწვერიანი (*Andropogoneta - Stipeeta*), უროიან - ჭანგიანი (*Andropogoneta-Agropyrumeta*), უროიან - ნაირბალახოვანი (*Andropogoneta-mixtoherbosa*), უროიან - ძეძვიანი (*Andropogoneta - Paliureta*), უროიან -გრაკლიან - ძეძვიანი (*Andropogoneta - Paliureta*), უროიან-გრაკლიან-ღვიაანი (*Andropogoneta - Spiraeta - Junipereta*) და სხვა ბალახოვნების სახით, სადაც ფართოდაა, ასევე, წარმოდგენილი ეფემერებიც.

8. მდინარისგან კიდევ უფრო მოშორებით მნიშვნელოვანი ფართობი უჭირავს ნახევარად უდაბნოს, რომელსაც, ძირითადად, ქმნის: ავშანი (*Artemisia phyllostachys (Boiss.) G. Wor.*), ყარღანი (*Salsola dendroides Pall.*) და ჩარანი (*Salsola ericoides M. B.*).

9. ხეები და ფლატეები ხასიათდება ქსეროფილური ბუჩქების ფრაგმენტებით.

10. ჭაჭუნის აღკვეთილის ადმინისტრაციის მიერ მომზადებული „ბუნების მატრიცის“ (2018) მიხედვით ჭაჭუნის აღკვეთილის ტყის ეკოსისტემები დღესდღეობით დაახლოებით შემდეგნაირად არის გადანაწილებული:

- ა) მუხნარი წივანას საფარით 65 ჰა;
- ბ) ღვიაანი ნაირბალახოვანი საფარით 328 ჰა;
- გ) ვერხვნარი ნაირბალახოვანი საფარით 314 ჰა;
- დ) ვერხვნარი ისლის საფარით 6 ჰა;
- ე) ვერხვნარ-ხორბლიანი საფარი 148 ჰა;
- ვ) ტირიფნარ-ხორბლოვანი საფარი 31 ჰა;
- ზ) თელნარი ნაირბალახოვანი საფარით 57 ჰა;
- თ) თელნარი ხორბლიანი საფარით 65 ჰა;
- ი) ჯაგრცხილნარი ნაირბალახოვანი საფარით 145 ჰა;
- კ) იალღუნიათ-ხორბლოვანი საფარი 34 ჰა;
- ლ) კევის ხის ასოციაცია ნაირბალახოვანი საფარით 171 ჰა;
- მ) ძეძვიანი ხორბლოვანი საფარით 74 ჰა.

11. სამონადირეო მეურნეობას გადაცემულ ფართობებზე წარმოდგენილია 3 ტიპის ვერხვნარი (ვერხვნარი ნაირბალახოვანი საფარით, ვერხვნარი ისლის საფარით, ვერხვნარი ხორბლიანი საფარით – ჯამში 13 ჰა ფართობი). აქედან გამომდინარე, დღესდღეობით, ჭაჭუნის აღკვეთილის ტერიტორიაზე ვერხვნარების ფართობი შეადგენს 455 ჰა-ს. ამჟამად, ჭაჭუნის აღკვეთილის ტერიტორიაზე ტყის ფართობი შეადგენს 1 438 ჰა -ს, მათგან გამეჩხერებული ტყეების ფართობია 1 298 ჰა. აღკვეთილის ტერიტორიაზე ტყის ეკოსისტემების გარდა, ასევე, წარმოდგენილია სხვადასხვა ტიპის სავარგულები: ველობები - 331 ჰა, საძოვრები - 1398 ჰა. (დანართი 6). ხეები და კლდისანი ადგილები შეადგენს 249 ჰა-ს, ქვიშნარები წარმოდგენილია 400 ჰა, ხოლო წყლის ეკოსისტემები - 195 ჰა ფართობზე.

12. მცენარეულობა: ჭაჭუნის აღკვეთილში აღრიცხულია მცენარეთა დაახლოებით 104 სახეობა. აქედან 6 სახეობის მერქიანი მცენარე საქართველოს „წითელ ნუსხაშია“ შეტანილი, 5 სახეობა რელიქტური, 3 საქართველოს ენდემი, ხოლო 1 კავკასიის ენდემური სახეობაა.

13. საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობებია: სამხრეთის აკაკი (*Celtis australis*), საკმლის ხე (სალსალაჯი) (*Pistacia mutica*), ჭალის მუხა (*Quercus pedunculiflora*), შავი ღვია (*Juniperus foetidissima*), მრავალნაყოფა ღვია (*Junipereta polycarpus*) (დანართი 7).





14. რელიქტური მერქნიანი სახეობები: საკმლის ხე (*Pistacia mutica*), შავი ღვია (*Juniperus foetidissima*), მრავალნაყოფა ღვია (*Junipereta polycarpus*), სამხრეთის აკაკი (*Celtis australis Linne*) და ჭალის მუხა (*Quercus longipes Steven*).

15. საქართველოს ენდემური მცენარეებიდან ჭაჭუნის აღკვეთილის ტერიტორიაზე გავრცელებულია შემდეგი სახეობები: ეიხლერის ტიტა (*Tulipa eichleri*), ქართული ზამბახი (*Iris iberica*) და ქართული კოწახური (*Berberis vulgaris*).

16. კავკასიის ენდემური სახეობა – ქართული კოწახური (*Berberis iberica*), ჭაჭუნის აღკვეთილის ფლორის მნიშვნელოვანი სახეობა, გავრცელებულია მშრალ ფერდობებსა და ვაკეებზე, ხევების გაყოლებით, არიდული ტყის ყავისფერ ნიადაგებსა და რიყეებზე.

აღკვეთილში გვხვდება 28 მერქნიანი (დანართი 10) და 14 სამკურნალო მცენარეების სახეობა (დანართი 8).

17. კულტურული მცენარეების ველური წინაპრებიდან აღკვეთილის ტერიტორიაზე გვხვდება 12 სახეობა.

18. ჭაჭუნის აღკვეთილის ველების ჯაგეკლიანი, ბალახოვანი და ლიანა მცენარეების სახეობები მოცემულია დანართ 9-ში.

19. ფაუნა:

ა) ჭაჭუნის აღკვეთილის ტერიტორია ცხოველთა მრავალი საინტერესო სახეობით ხასიათდება. აქ გვხვდება როგორც ტყის, ასევე სტეპისა და უდაბნოს ფაუნის წარმომადგენლები, რომელთა შორის ბევრია იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი სახეობა (დანართი 11);

ბ) აქ გვხვდება ძუძუმწოვრების სულ 47 სახეობა. მათგან 6 – საქართველოს წითელ ნუსხაშია შეტანილი და ასევე, ევროპის დონეზე გადაშენების საფრთხის წინაშე მდგომი სახეობაა;

ბ.ა) მსხვილი ძუძუმწოვრებიდან გვხვდება: მურა დათვი (*Ursus arctos*), ფოცხვერი (*Lynx lynx*), რუხი მგელი (*Canis lupus*), მელა (*Vulpes vulpes*), ტურა (*Canis aureus*), ლელიანის კატა (*Felis chaus*), გარეული ღორი (*Sus scrofa*), წავი (*Lutra lutra*), მაჩვი (*Meles meles*), მაჩვზღარბა (*Hystrix indica*) და სხვა;

ბ.ბ) წვრილი ძუძუმწოვარი ცხოველებიდან აღკვეთილში ბინადრობს 25 სახეობა: პაწია თაგვი (*Micromys minutus*), კავკასიური ტყის თაგვი (*Sylvaemus fulvipectus*), პონტოს თაგვი (*Apodemus ponticus*), სახლის თაგვი (*Mus musculus*), შავი ვირთაგვა (*Rattus rattus*), ამიერკავკასიის ზაზუნა (*Mesocricetus brandti*), ევროპული ზღარბი ([Erinaceus concolor](#)) და სხვ;

ბ.გ) აქ გვხვდება 12 სახეობის ღამურა: ულვაშა მღამიობი (*Myotis blythii*), სამფერი მღამიობი (*Myotis emarginatus*), დიდი ცხვირნალა (*Rhinolophus ferrumequinum*), მცირე ცხვირნალაც (*Rhinolophus hipposideros*) და სხვ.;

გ) ფრინველები: ჭაჭუნის აღკვეთილი მდიდარია ორნითოლოგიური თვალსაზრისითაც. მას ესაზღვრება აზერბაიჯანი და ორივე მხარეს დაცული ტერიტორიების არსებობა (ჭაჭუნის აღკვეთილი საქართველოში და ელდარის ფიჭვის ნაკრძალი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე) უზრუნველყოფს გადამფრენი ფრინველების დაცვას და მათ გამრავლებას. დღეისათვის აღკვეთილის ტერიტორიაზე აღწერილია ფრინველთა 268 სახეობა, აქედან 23 როგორც „საქართველოს წითელ ნუსხაში“, ასევე, IUCN-ის „წითელ ნუსხაშიცაა“ შეტანილი (დანართი 12);

გ.ა) იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი ფრინველებიდან აღსანიშნავია: გავაზი (*Falco cherrug*), წითელთავა შავარდენი (*Falco biarmicus*), მცირე კირკიტა (*Falco naumanni*), ბექობის არწივი (*Aquila heliaca*), ორბი (*Gyps fulvus*), სვაი (*Aegypius monachus*), ფასკუნჯი (*Neophron percnopterus*), წითელი იხვი (*Tadorna ferruginea*), ქოჩორა ვარხვი (*Pelecanus crispus*), ვარდისფერი ვარხვი (*Pelecanus onocrotalus*), სარსარაკი (*Tetrax tetrax*), თვალჭყეცია (*Burhinus oedicnemus*), თეთრკუდა ფსოვი (*Haliaeetus albicilla*), შავი ყარყატი (*Ciconia nigra*), მცირე თეთრშუბლა (*Anser erythropus*), ქორცქვიტა (შავთვალა მიმინო, ლევანმიმინო) (*Accipiter brevipes*), დიდი მყივანი არწივი (*Clanga clanga*), მთის არწივი (*Aquila chrysaeos*)



და ველის კაკაჩა (*Buteo rufinus rufinus*) და სხვა (დანართი 13);

გ.ბ) აღკვეთილში გვხვდება მიგრანტი ფრინველების 110 სახეობა, მთელი წლის განმავლობაში რჩება 79 სახეობა. მოზუდარი ფრინველებიდან გავრცელებულია 61 სახეობა, ზამთრის ვიზიტორები – 50, ერთდროულად მიგრანტი და ზამთრის ვიზიტორი – 41, ხოლო იშვიათად შემომფრენი – 5;

დ) თევზები: მდინარე იორში გვხვდება 12 სახეობის თევზი: ლოქო (*Silurus glanis*), მურწა (*Barbus murso*), მტკვრის წვერა (*Barbus lacerta curi*), შამაია (*Chalacalburnus chalcoides*), კობრი(გოჭა) (*Cyprinus chalcoides*), ჭანარი (*Barbus capito*), ციმორი (*Gobio persa*), კარჩხანა (კარასი) (*Carassius carassius*), საზანი (*Cyprinus carpio*) და სხვ (დანართი 14). თევზების ინვაზიური სახეობებიდან აღსანიშნავია კობრი/ საზანი (*Cyprinus carpio*);

ე) რეპტილიები/ქვეწარმავლები: დიდი მრავალფეროვნებით არის წარმოდგენილი რეპტილიების/ქვეწარმავლების კლასი, აქ 23 სახეობის ქვეწარმავალი ბინადრობს: კუები - 3 სახეობა, ხვლიკები – 4 სახეობა და გველები – 7 სახეობა (დანართი 15). საქართველოს „წითელ ნუსხაში“ ქვეწარმავლების 2 სახეობაა შეტანილი: კუების 1 სახეობა – ხმელთაშუაზღვიური კუ (*Testudo graeca Linnaeus*) და გველების 1 სახეობა – ჩვეულებრივი ხვლიკიჭამია გველი (*Malpolon monspessulanus*). ჭაჭუნის აღკვეთილის ტერიტორიაზე 3 სახეობის კუ გვხვდება, ესენია: ჭაობის კუ (*Emys orbicularis*), კასპიური კუ (*Mauremys caspica*) და ხმელთაშუაზღვიური კუ (*Testudo graeca Linnaeus*). განსაკუთრებულ ყურადღებას ჰერპეტოფაუნა (გველები) იმსახურებს: წყლის ანკარა (*Natrix tessellata*), ჩვეულებრივი ხვლიკიჭამია გველი (*Malpolon monspessulanus*), წითელმუცელა მცურავი (*Dolichophis schmidtii*), ფერადი მცურავი ([Hemorrhoids ravergeri](#)), ოთხზოლიანი მცურავი (*Elaphe sauromates* (Pallas, 1811)) და გიურზა (*Vipera lebetina*). 1 სახეობა საქართველოს „წითელ ნუსხაშია“ შეტანილი. ხვლიკების შემდეგი სახეობაა რეგისტრირებული, ესენია: ზოლებიანი ხვლიკი (*Lacerta strigata*), გველხოკერა (*Pseudopus apodus*) და კავკასიური ჯოჯო (*Agama caucasica*);

ვ) ამფიბიები: ჭაჭუნის აღკვეთილში 4 სახეობის ამფიბია ბინადრობს, ესენია: მწვანე გომბეშო (*Bufo viridis*), ტბის ბაყაყი (*Rana ridibunda*), კავკასიური ჯვრიანა (*Pelodytes caucasicus*) და კავკასიური გომბეშო (*Bufo rerrucosissimus*);

ზ) უხერხემლოები: აღკვეთილის უხერხემლო ცხოველები და მათ შორის ენტომოფაუნა ნაკლებადაა შესწავლილი, თუმცა, რიგების და ოჯახების დონეზე არსებული მონაცემებიდან გამომდინარე, აქ გვხვდება მრავალი სახეობის კალიები (ზეოჯახი *Acridoidea*), რიგი ხემემფრთიანებიდან ხოჭოები (*Coleoptera*), რიგი პეპლები (*Lepidoptera*), ჭიანჭველასებრნი (*Formicidae*), კლასი ობობასნაირები (*Arachnoidea*), რომელთაგან აღსანიშნავია ფართოდ გავრცელებული მორიელები (*Scorpione sp.*), მათ შორის, ჭრელი მორიელი (*Mesobuthus eupeus* C. L. Koch, 1839), რომელიც მთელი აღმოსავლეთ საქართველოს სტეპებისა და ნახევარუდაბნოების ტიპური ბინადარია;

თ) ფეხსასრიალები: ხოჭოებიდან ცნობილია ზურმუხტის ქსელისათვის მნიშვნელოვანი სახეობა ცრუქერქიჭამია (*Stephanopachys linearis*). ბოლო წლების განმავლობაში მავნებელი მწერების ფაუნაიდან საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული ტალღურასებრთა ოჯახის წარმომადგენელი პეპელა – არაფარდი პარკიხვევია (*Ocneria dispar*, *Lymantria dispar*), რომელიც საკმაოდ დიდ ზიანს აყენებს საკმლის ხეებს. ასევე, გვხვდება მჟაუნას არაფარდი მრავალთვალა (*Lycaena dispar*), მუხის მწვანე ფოთოლხვევია (*Tortrix viridana*), ვერხვის ფოთოლჭამია (*Chrysomela populi*), ხარაბუზები (*Cerambycidae*), ცხვირგრძელები (*Curculionidae*), მუხის დიდი ხარაბუზა (*Cerambyx cerdo*), ვერხვის დიდი ხარაბუზა (*Caperda carcharias*), მუხის ფოთლის რწყილი (*Haltica saliceti*);

ი) განამარხებული ფაუნა: ჭაჭუნის აღკვეთილის მიმდებარედ, „ტულიკ-ტაპას ქედის“ უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში, 2010 წელს აღმოჩნდა მასტოდონტის ეშვი. საქართველოს ეროვნული მუზეუმის მეცნიერებისა და მკვლევარების მიერ 2011 წელს დაიწყო გათხრები, რის შედეგადაც გამოჩნდა მასტოდონტის ჩონჩხის სხვა ნაწილებიც, მათ შორის: მეორე ეშვი, მხრის ძვალი, იდაყვისა და სხივის ძვალი ბუნებრივ შესახსრებაში, ფალანგები, რამოდენიმე ძალა, ნეკნი. აღნიშნული ნამარხები, დიდი ალბათობით, ერთსა და იმავე ინდივიდს უნდა ეკუთვნოდეს. აღნიშნული კვლევის დროს შეისწავლეს „ტულიკ-ტაპას ქედი“, ჭაჭუნის აღკვეთილის ველები და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების მიჯნის ყურე. ჩატარებული დაზვერვების შედეგად ჭაჭუნის ველზე, მასტოდონტის პოვნის ადგილიდან უფრო მოშორებით, აღმოსავლეთით აღმოჩნდა ძალზე საინტერესო ფაუნისტური კომპლექსი, რომელშიც ჰიპარიონჟოლი ფაუნის ჩვეულებრივ წარმომადგენლებთან ერთად გვხვდება შედარებით იშვიათი,



ჰუმიდური გარემოსათვის დამახასიათებელი ცხოველების ნაშთები. ჯერჯერობით ნაპოვნია ქვეწარმავლებიდან (*Reptilia*): ხმელთაშუაზღვიური კუ (*Testudo graeca*), კუ (*Emys sp.*); ძუძუმწოვრებიდან (*Mammalia*): *Castoridae*, ცხენისებრნი - ცხენის წინაპრის სახეობა (*Hipparion sp. Suidae indet.*), ოჯახი ძროხისებრნის (*Bovidae*) წარმომდგენელი (*Tracoderinae indet.*), ოჯახი ირმისნაირთა (*Cervidae*) წარმომდგენელი (*Procapreolus cusanus*). გარდა ამისა, ყურადღებას იქცევს დიდი რაოდენობით კოპროლითების არსებობა, რაც, სავარაუდოდ, განამარხების *in situ* სიტუაციაზე მიუთითებს და ამ ადგილს სამეცნიერო კვლევისათვის პერსპექტიულს ხდის;

კ) ზურმუხტის ქსელის საიტის სახეობები და ჰაბიტატები: ჭაჭუნის აღკვეთილში გვხვდება ბერნის კონვენციით დაცული სახეობები: რუხი მგელი (*Canis lupus*), მურა დათვი (*Ursus arctos*), ფოცხვერი (*Lynx lynx*), მეჭელის ცხვირნალა (*Rhinolophus mehelyi*), ხმელთაშუაზღვის კუ (*Testudo graeca*), შამაია (*Chalcalburnus chalcoides*), მყაუნას არაფარდი (*Lycaena dispar*), ულვამა მლამიობი (*Myotis blythii*), სამფერი მლამიობი (*Myotis emarginatus*), დიდი ცხვირნალა (*Rhinolophus ferrumequinum*), მცირე ცხვირნალა (*Rhinolophus hipposideros*), ცრუქერქიჭამია (*Stephanopachys linearis*) (დანართი 16). EUNIS-ის მიხედვით ტერიტორიაზე გამოყოფენ 4 ტიპის ჰაბიტატს: E1.2 – მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეთა საფარი კირქვიანებზე და სტეპი ფუძე სუბსტრატებზე (Perennial calcareous grassland and basic steppes), E6.2 – შიდა კონტინენტური დამლაშებული სტეპები (Continental inland salt steppes), G1.11 – ჭალის ტირიფნარი (Riverine Salix woodland), G1.3 – ხმელთაშუაზღვისპირული ჭალის ტყე (Mediterranean riparian woodland).

### მუხლი 13. კვლევა-მონიტორინგი

1. ჭაჭუნის აღკვეთილს, სამეცნიერო კვლევა-მონიტორინგის თვალსაზრისით, კარგი პოტენციალი გააჩნია. მისი ფლორისა და ფაუნის ძირითადი ჯგუფები დღემდე სრულად არ არის შესწავლილი, ან არსებული ინფორმაცია მოძველებულია.
2. ჭაჭუნის აღკვეთილი, ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებთან ერთად, დიდი ბიოლოგიური (ბოტანიკური, ზოოლოგიური), ეკოლოგიური, სატყეო, გეოლოგიური, პალეონტოლოგიური, არქეოლოგიური და ბუნებრივი პირობების თავისებურებებით გამოირჩევა.

### მუხლი 14. ეკოგანათლება

აღკვეთილს, გარემოსდაცვითი განათლების მიმართულებით სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო აქტივობების ორგანიზების პოტენციალი გააჩნია (ლექცია-სემინარები, ტრენინგები, ღონისძიებები მწვანე კალენდრის მიხედვით, ეკოგაკვეთილები ველზე, მწვანე აქციები, ეკოტურები და სხვა), ძირითადად, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მიმდებარე სკოლებისა და, ზოგადად, რეგიონის მოსახლეობისთვის.

### მუხლი 15. მიწათსაკუთრება და მიწათსარგებლობა

1. აღკვეთილის მთელი ტერიტორია წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას. სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტო, ჭაჭუნის აღკვეთილის ადმინისტრაციის მეშვეობით, პასუხისმგებელია მის მართვაზე.
2. აღკვეთილის ტერიტორიაზე მდებარე საძოვრების კვლევა განახორციელა „საბუკომ“, შემუშავებულია საძოვრების მართვის გეგმა. განსხვავებულია ყოველწლიური რაოდენობა პირუტყვისა, რომელიც აღკვეთილის საძოვრებს იყენებს.
3. აღკვეთილში მიწათსარგებლობა რეგულირდება „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით.



## მუხლი 16. ეკოტურიზმი და რეკრეაცია

1. ჭაჭუნის აღკვეთილი, აქ წარმოდგენილი უნიკალური ლანდშაფტებითა და ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ნაშთებით, მიმზიდველ გარემოს ქმნის ტურისტებისათვის.
2. ჭაჭუნის აღკვეთილს გააჩნია საკმაოდ კარგი პოტენციალი ეკოტურიზმის განვითარებისთვის, განსაკუთრებით, ფრინველებზე დაკვირვებისთვის (Birdwatching).
3. დივერსიფიცირებული ტურიზმის განვითარება პრიორიტეტულ მიმართულებადაა მიჩნეული დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში.

## მუხლი 17. ადგილობრივი ეკონომიკისა და ჭაჭუნის აღკვეთილის ურთიერთკავშირი

ადგილობრივი ეკონომიკისა და ჭაჭუნის აღკვეთილის ურთიერთკავშირი, ძირითადად, გამოხატულია ამ ტერიტორიების პირუტყვის სამოვრად, ხოლო მდინარე იორის – სასმელ და სარწყავ წყლად გამოყენებაში.

### თავი 3. გრძელვადიანი მიზნები

## მუხლი 18. ბუნებრივი ეკოსისტემების, ლანდშაფტებისა და ცოცხალი ორგანიზმების მდგომარეობასთან დაკავშირებული მიზნები

1. ჭაჭუნის აღკვეთილის გეომორფოლოგიური, გეოლოგიური და ჰიდროლოგიური წარმონაქმნები, ბუნებრივი ლანდშაფტები და ჰაბიტატები დაცულია და აღდგენილია. ცხოველთა და მცენარეთა პოპულაციები და ჯგუფები დაცულია მათ ბუნებრივ და დიდწილად უცვლელ გარემოში. ჭაჭუნის აღკვეთილი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ეროვნულ და გლობალურ დონეზე საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობების გენოფონდის გრძელვადიან კონსერვაციას. სახეობების პოპულაციის რაოდენობა გაზრდილია ტერიტორიისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი ტევადობის ფარგლებში.

2. ზემოთ აღნიშნული ზოგადი გრძელვადიანი მიზანი შეიძლება განისაზღვროს ჭაჭუნის აღკვეთილის იდენტიფიცირებული ბიომრავალფეროვნების ძირითადი ღირებულებებისთვის.

3. მენეჯმენტის პირველი გეგმის დამტკიცებიდან 25 წლის შემდეგ:

ა) ჭაჭუნის აღკვეთილის ჭალის ტყის ჰაბიტატების კონსერვაციის სტატუსი, 2022 წელთან შედარებით, იქნება შენარჩუნებული ან გაუმჯობესებული. ასევე, ტყით დაფარული ფართობი იქნება შენარჩუნებული, ან გაზრდილი. ტყის კორომის მახასიათებლები ასახავენ ჯანსაღ, თითქმის ბუნებრივ ან ბუნებრივ ტყეებს. მნიშვნელოვანი მცენარეული სახეობები: ჭალის მუხა (*Quercus pedunculiflora*), საკმლის ხე (საღსაღაჯი) (*Pistacia mutica*), შავი ღვია (*Junipereta foetidissima*), მრავალნაყოფა ღვია (*Junipereta polycarpus*), შიშველი თელადუმა (*Ulmus glabra*) და პატარა თელადუმა (*Ulmus minor*), ჭალის ვერხვი (*Populus canescens*) და თეთრფოთოლა ვერხვი (*Populus alba*), წარმოდგენილი იქნებიან მინიმუმ იგივე რაოდენობით, როგორც 2022 წელს. მცენარეთა მავნებლების რაოდენობა იქნება მინიმალური;

ბ) ჭაჭუნის აღკვეთილის ჭალის ტყე და სემიარიდული მდელოები, იქ არსებული საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობებით: ლელიანის კატა (*Felis chaus*), თეთრკუდა ფსოვი (*Haliaeetus albicilla*) და ბეჭობის არწივი (*Aquila heliaca*), წარმოდგენილი იქნებიან მინიმუმ იმავე რაოდენობით, როგორც 2022 წელს და პოპულაციის რაოდენობა ახლოს იქნება მათ ბუნებრივ ტევადობასთან;



გ) ჭაჭუნის ალკვეთილის სემიარიდულ მდელოებს, 2022 წელთან შედარებით, ექნება საშუალო ან დაბალი დეგრადაცია, რომელიც ასახულია სამოვრების დეგრადაციის ინდექსებში.

## **მუხლი 19. ეკოგანათლებასა და გარემოსდაცვით ცნობიერების ამაღლებასთან დაკავშირებული მიზნები**

ბუნებრივი ეკოსისტემების, ლანდშაფტებისა და ცოცხალი ორგანიზმების მდგომარეობასთან დაკავშირებული მიზნების მიღწევის შედეგად, ჭაჭუნის ალკვეთილს გააჩნია მდიდარი საგანმანათლებლო რესურსი. ჭაჭუნის ალკვეთილის ადმინისტრაცია ადგილობრივ სკოლებთან და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ურთიერთთანამშრომლობის გზით უზრუნველყოფს საზოგადოებაში გარემოსდაცვითი ცნობიერებისა და ცოდნის ზრდას, რაც ხელს შეუწყობს ალკვეთილის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების პოზიტიურ ცვლილებას და მის ჩართულობას მართვაში.

## **მუხლი 20. ბუნებრივ და ისტორიულ-კულტურულ გარემოში რეკრეაციის, ჯანმრთელობის დაცვისა და ეკოტურიზმისთვის ხელსაყრელი პირობების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მიზნები**

1. ბუნებრივი ეკოსისტემების, ლანდშაფტებისა და ცოცხალი ორგანიზმების მდგომარეობასთან დაკავშირებული მიზნების მიღწევის შედეგად, ჭაჭუნის ალკვეთილის ტერიტორიებზე წარმატებით ვითარდება ბუნებაზე ორიენტირებული მდგრადი ტურიზმი, სადაც ვიზიტორებისთვის უზრუნველყოფილია სუფთა, უსაფრთხო და მასტიმულირებელი გარემო. ტურიზმიდან მიღებულ შემოსავალს გარკვეული წვლილი შეაქვს ჭაჭუნის ალკვეთილის ადმინისტრაციის განვითარებაში.

2. კულტურული მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილები დაცულია და წარმოადგენს ვიზიტორთა პროგრამის შემადგენელ ნაწილს ეკოსისტემის პროდუქტებსა და ღირსშესანიშნაობებთან ერთად. ჭაჭუნის ალკვეთილის ადმინისტრაცია, სსიპ – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესია ეფექტურად თანამშრომლობენ კულტურული მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად.

## **მუხლი 21. სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებული მიზნები ადგილობრივი ეკონომიკისა და მოსახლეობის სასარგებლოდ**

ბუნებრივი ეკოსისტემების, ლანდშაფტებისა და ცოცხალი ორგანიზმების მდგომარეობასთან დაკავშირებული მიზნების მიღწევის შედეგად, გაუმჯობესებულია მიმდებარე მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და ზოგადი კეთილდღეობა. ჭაჭუნის ალკვეთილი მდგრადად უზრუნველყოფს ეკოსისტემური სერვისების ფართო სპექტრს, მათ შორისაა არამერქნული ტყის პროდუქტები, სამოვრები, სარწყავი წყალი და სხვა. რეგიონის ბუნებასა და ისტორიულ ფასეულობებზე დაფუძნებული საგანმანათლებლო, ესთეტიკური და სულიერი ფასეულობები იზიდავს ქართველ და უცხოელ ტურისტებს, რაც დადებითად აისახება ადგილობრივ ეკოტურიზმზე და ახდენს ადგილობრივი ეკონომიკის სტიმულირებას.

## **მუხლი 22. ბუნებრივი რესურსების მდგრად სარგებლობასთან დაკავშირებული მიზნები**

ადგილობრივ მოსახლეობას და ფერმერებს გათვითცნობიერებული აქვთ ჭაჭუნის ალკვეთილის მნიშვნელობა. დაცული ტერიტორიები ხელს უწყობს მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობისა და არსებული ფერმერული მეურნეობების კეთილდღეობას მდგრადი გზით, მათთვის საჭირო ბუნებრივი რესურსების მიწოდებით.



**მუხლი 23. მეცნიერებასა და განათლებასთან დაკავშირებული მიზნები**

ბუნებრივი ეკოსისტემების, ლანდშაფტებისა და ცოცხალი ორგანიზმების მდგომარეობასთან დაკავშირებული მიზნების მიღწევის შედეგად, ჭაჭუნის ალკვეთილი წარმოადგენს საინტერესო სამეცნიერო-კვლევით ბაზას ქართველი და უცხოელი მეცნიერებისთვის. ის წარმატებით თანამშრომლობს საქართველოსა და უცხოეთის სამეცნიერო-კვლევით და საგანმანათლებლო ცენტრებთან, ასევე, დამოუკიდებელ მკვლევრებთან. ადმინისტრაციას გააჩნია საკმარისი სამეცნიერო ინფორმაცია ტერიტორიის ყველა ძირითადი ღირებულების შესახებ, დაცული ტერიტორიის ეფექტურად სამართავად.

**მუხლი 24. ადმინისტრაციის განვითარებასთან დაკავშირებული მიზნები**

ჭაჭუნის ალკვეთილის ადმინისტრაციას გააჩნია ყველა აუცილებელი რესურსი იმისათვის, რომ განაგრძოს ტერიტორიის ძირითადი ღირებულებების კონსერვაცია და გაუმჯობესება. თანამშრომლების სათანადო რაოდენობა აღჭურვილია შესაბამისი ფინანსური, ტექნიკური, ინფრასტრუქტურული რესურსით, საჭირო ცოდნით, უნარებითა და დაცული ტერიტორიების ადაპტიური მართვის გამოცდილებით.

„დედოფლისწყაროს ბიოსფერული რეზერვატის“ დაარსების შემდეგ ჭაჭუნის ალკვეთილი მისი შემადგენელი ნაწილია. წინამდებარე მენეჯმენტის გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევით მას წვლილი შეაქვს ბიოსფერული რეზერვატის წინაშე მდგარი სტრატეგიული მიზნების განხორციელებაში.

**თავი 4. დაცული ტერიტორიის სიტუაციური ანალიზი**

**მუხლი 25. დაცული ტერიტორიის ძირითადი ღირებულებების არსებული მდგომარეობა**

1. ბიომრავალფეროვნების ძირითადი ღირებულებების მდგომარეობა: ჭაჭუნის ალკვეთილის ბიომრავალფეროვნების ღირებულებები და მდგომარეობის ატრიბუტები განისაზღვრა თითოეული ძირითადი სახეობისთვის და მაქსიმალურად შეგროვდა ინფორმაცია არსებული სიტუაციის შესახებ (იხ. ცხრილი 2). ჭაჭუნის ალკვეთილის ადმინისტრაციაში მწირი მონაცემები და ინფორმაცია მოიპოვება ეკოსისტემებისა და სახეობების ამჟამინდელი მდგომარეობის შესახებ. ჭაჭუნის ალკვეთილის ბიომრავალფეროვნების ძირითადი ღირებულებების სრულყოფილად გასაგებად საჭირო იქნება დამატებითი კვლევები და ინფორმაციის შეგროვება პირველი მენეჯმენტის გეგმის განხორციელების განმავლობაში.

ცხრილი 2: ჭაჭუნის ალკვეთილის ძირითადი ბიომრავალფეროვნების ღირებულებები და შესაბამისი ატრიბუტების არსებული მდგომარეობა

ღირებულებები	მდგომარეობის ატრიბუტი	არსებული მდგომარეობა
	ტყის ფართობი	1394 ჰა
	სტანდარტული კორომის მახასიათებლები	ტყის აღრიცხვის განახლებული მონაცემები არ არსებობს. ტყის ბოლო აღრიცხვის სამუშაოები ჩატარდა 1985 წელს. 2019 წელს საზოგადოება ბუნების კონსერვაციისთვის - საბუკომ განახორციელა მდინარე ივრის ჭალის ტყის სიჯანსაღის შეფასება.
მდინარე ივრის ჭალის ტყე – <i>riverside woodswoods</i>		წარმოდგენილია შემდეგი სახეობები:  ჭალის მუხა ( <i>Quercus pedunculiflora</i> )



<p>ძირითადი სახეობების არსებობა</p>		<p>შიშველი თელადუმა (<i>Ulmus glabra</i>)</p> <p>პატარა თელადუმა (<i>Ulmus minor</i>)</p> <p>ჭალის ვერხვი (<i>Populus hybrida</i>)</p> <p>თეთრფოთოლა ვერხვი (<i>Populus alba</i>)</p>
<p>მავნებლების არსებობა</p>		<p>ჭაჭუნის ადკვეთილში და ბუფერულ ზონაში განხორციელებული ენტომოლოგიური კვლევებით გაზაფხულზე შეინიშნება საკმლის ხეებზე მაცნებლის - ფსტის არაფარდი აბრეშუმქსოვია (ფსტის არაფარდი ტალღურა) - <i>Parocneria (Ocneria) terebynthi</i> ინტენსიური გამრავლება და საკმლის ხეების დაზიანება.</p> <p>2019 წელს ჩატარებული შეწამვისა და 2020 წლის ძლიერი წვიმების შედეგად მასიურად განადგურდა პარაზიტი.</p> <p>მონიტორინგის შედეგად დაფიქსირებულია მცირე რაოდენობით <b>პარაზიტის მატლები:</b></p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. მუხის ფოთოლხვევია (<i>Tortix viridana</i>);</li> <li>2. ვერხვის ფოთოლჭამია (<i>Melacosus Populi</i>).</li> </ol> <p><b>სოკოვანი დაავადებებიდან:</b></p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. მუხის მოთეთრო სოკო (<i>Sohirophyllum commune</i>);</li> <li>2. მუხის მურა სიდამპლე (<i>Daedialla guercina</i>);</li> <li>3. თელის ჰოლანდიური დაავადება (<i>Pholiporus squamsus</i>);</li> <li>4. აბედა სოკო (<i>Fomes igniarus</i>).</li> </ol>
<p>საკმლის ხე (<i>Pistacia mutica</i>)</p>	<p>რიცხოვნობა (რაოდენობა)</p> <p>გავრცელების არეალი, სიჯანსაღე.</p>	<p>საკმლის ხე (კვევის ხე, სალსადაჯი) <i>Pistacia mutica Fisch. &amp; C.A. Mey.</i> მიეკუთვნება თუთუბოსებრთა (<i>Anacardiaceae</i>) ოჯახს. იგი უძველესი მესამეული პერიოდის რელიქტურ სახეობად არის მიჩნეული.</p> <p>დაცვის სტატუსი: შესული არის IUCN-ის „წითელ ნუსხაში“. სტატუსით - LC.</p> <p>სახეობისთვის საფრთხეს წარმოადგენს:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. მეცხოველეობისა და მესაქონლეობის განვითარება, კერძოდ, ძოვების შედეგად ახალდმონაცენების დაზიანება და განადგურება;</li> <li>2. ბიოლოგიური რესურსების შეგროვება: მცენარის მიწისზედა ნაწილების შეგროვება, ტყის ჭრა და მერქნის დამზადება;</li> <li>3. კლიმატის ცვლილება და მკაცრი/სუსხიანი ამინდები/გაუდაბნოება.</li> </ol>
<p>ჭალის მუხა (<i>Quercus longipes Steven</i>)</p>	<p>რიცხოვნობა (რაოდენობა)</p> <p>გავრცელების არეალი</p>	<p>1985 წელს ჩატარებული ტყეთმონაწილობის მონაცემების მიხედვით ჭალის მუხის გავრცელების არეალი დაახლოებით 2170 ჰა-ს, ხოლო რაოდენობა შეადგენს 151 ცალს.</p> <p>სახეობისთვის საფრთხეს წარმოადგენს:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. ბიოლოგიური რესურსების შეგროვება: მცენარის მიწისზედა ნაწილების შეგროვება, ტყის ჭრა და მერქნის დამზადება;</li> <li>2. ძოვების შედეგად მუხის აღმონაცენის დაზიანება და განადგურება;</li> <li>3. კლიმატის ცვლილება და მკაცრი/სუსხიანი ამინდები/გაუდაბნოება;</li> <li>4. მდინარე იორის დატბორვის რეჟიმის ცვლილება.</li> </ol>
<p>შავი ღვია (<i>Juniperus foetidissima</i>)</p>		<p>1985 წელს ჩატარებული ტყეთმონაწილობის მონაცემების მიხედვით შავი და მრავალნაყოფა ღვიების გავრცელების არეალი დაახლოებით 3730 ჰა-ს შეადგენს, რაოდენობა -558 ცალს.</p>



<p>მრავალნაყოფა ღვია (<i>Junipereta polycarpus</i>)</p>	<p>რიცხოვნობა (რაოდენობა) გავრცელების არეალი</p>	<p>ორივე სახეობა შესულია IUCN-ის „წითელ ნუსხაში“.სტატუსი - LC.</p> <p>იდენტიფიცირებული საფრთხეები:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. მოვების შედეგად ახალდმონაცენის დაზიანება და განადგურება;</li> <li>2. ბუნებრივი სისტემების მოდიფიკაცია, ხანძრები.</li> </ol>
<p>სამხრეთის აკაკი (<i>Celtis australis</i>)</p>	<p>რიცხოვნობა (რაოდენობა) გავრცელების არეალი</p>	<p>1985 წელს ჩატარებული ტყეთმონაცენის მონაცემების მიხედვით სამხრეთის აკაკის გავრცელების არეალი დაახლოებით 1500 ჰა-ს შეადგენს, ხოლო რაოდენობა 30 ერთეულს არ აღემატება.</p> <p>სახეობა შესულია IUCN-ის „წითელ ნუსხაში“.სტატუსი - LC.</p> <p>იდენტიფიცირებული საფრთხეები:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. ბიოლოგიური რესურსების გამოყენება: ტყის ჭრა და შეშის დამზადება;</li> <li>2. დაავადებების არსებობა;</li> <li>3. მოვების შედეგად ახალდმონაცენის დაზიანება და განადგურება.</li> </ol>
<p>ლელიანის კატა (<i>Felis chaus</i>)</p>	<p>რიცხოვნობა (რაოდენობა) გავრცელების არეალი</p>	<p>ადმინისტრაციის მონაცემებით რაოდენობა მერყეობს 40-50-ის ფარგლებში.</p> <p>გავრცელებულია ალკვეთილის მთელ ტერიტორიაზე.</p> <p>სახეობა შესულია IUCN-ის „წითელ ნუსხაში“. სტატუსი - LC.</p> <p>იდენტიფიცირებული საფრთხეები:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. სოფლის მეურნეობა: მეცხოველეობის განვითარება;</li> <li>2. ბიოლოგიური რესურსების გამოყენება (მიწისზედა ცხოველებზე ნადირობა და დაჭერა, ტყის ჭრა და შეშის დამზადება);</li> <li>3. ჭალის ტყის დეგრადაცია.</li> </ol>
<p>ბეჭობის არწივი (<i>Aquila heliaca</i>)</p>	<p>რიცხოვნობა (რაოდენობა) გავრცელების არეალი</p>	<p>ჭაჭუნის ალკვეთილის ტერიტორიაზე მხოლოდ 3 - 5 წყვილია.</p> <p>სახეობა შესულია IUCN-ის „წითელ ნუსხაში“ სტატუსი - VU.</p> <p>იდენტიფიცირებული საფრთხეები:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. ხე-მცენარეების პლანტაციების გაშენება ალკვეთილის მიმდებარედ;</li> <li>2. ბიოლოგიური რესურსების გამოყენება (მიწისზედა ცხოველებზე ნადირობა და ჭერა, ტყის ჭრა და შეშის დამზადება);</li> <li>3. ადამიანის შეჭრა და შემფოთება, რომელიც გამოწვეულია ადამიანის მიერ განხორციელებული სხვადასხვა საქმიანობით.</li> </ol>
<p>თეთრკულა ფსოვი (<i>Haliaeetus albicilla</i>)</p>		<p>ჭაჭუნის ალკვეთილის ტერიტორიაზე საბუკოს მონაცემებით არის 2 წყვილი.</p> <p>სახეობა შესულია IUCN-ის „წითელ ნუსხაში“ სტატუსი - LC, GRL – EN.</p> <p>იდენტიფიცირებული საფრთხეები:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. ხე-მცენარეების პლანტაციების გაშენება ალკვეთილის მიმდებარე ტერიტორიებზე;</li> <li>2. ბიოლოგიური რესურსების გამოყენება (მიწისზედა ცხოველებზე ნადირობა და ჭერა, ტყის ჭრა და შეშის დამზადება);</li> <li>3. ადამიანის შეჭრა და შემფოთება, რომელიც გამოწვეულია ადამიანის მიერ განხორციელებული სხვადასხვა საქმიანობით.</li> </ol>





2. სხვა ღირებულებების მდგომარეობა. ჭაჭუნის აღკვეთილის სხვა ღირებულებები უშუალოდ ეკოსისტემის სერვისებზეა დამოკიდებული (ბუნებრივ რესურსებთან დაკავშირებული, სამეცნიერო და საგანმანათლებლო, ტურისტული და საერთო სოციალურ-ეკონომიკური ღირებულებები).

3. ჭაჭუნის აღკვეთილის ტერიტორიების პოტენციური სამეცნიერო-საგანმანათლებლო, ეკოტურისტული და საერთო სოციალურ-ეკონომიკური ღირებულებები ამჟამად სრულყოფილად არ არის რეალიზებული.

## მუხლი 26. დაცული ტერიტორიის ძირითადი ღირებულებების პირდაპირი საფრთხეები

1. ჭაჭუნის აღკვეთილის ტერიტორიების ბიომრავალფეროვნების ძირითადი ღირებულებების პირდაპირი და არაპირდაპირი საფრთხეები მოცემულია ცხრილ 3-ში, ხოლო ინდიკატორები დანართი 18-ში.

ცხრილი 3: სამიზნე ღირებულებების პირდაპირი და არაპირდაპირი საფრთხეები

პირდაპირი საფრთხე	დაკავშირებული არაპირდაპირი ფაქტორები	დაზიანებული ძირითადი ღირებულებები
პირველადი იერსახის კარგვა	<ol style="list-style-type: none"> <li>1. ადამიანის ზემოქმედება (მწყემსი);</li> <li>2. მსხვილფეხა საქონლის და ცხვრის ზემოქმედება;</li> <li>3. უკონტროლო ძოვება;</li> <li>4. კლიმატის ცვლილება;</li> <li>5. დალის წყალსაცავის აშენება და წყლის დინების კანონზომიერების დარღვევა;</li> <li>6. აღსრულების არასაკმარისი ეფექტურობა.</li> </ol>	ჭალის ტყე
დაბინძურება	<ol style="list-style-type: none"> <li>1. ადამიანის ზემოქმედება (ვიზიტორები, მწყემსები, მეთევზეები);</li> <li>2. მსხვილფეხა საქონლის და ცხვრის ზემოქმედება;</li> <li>3. აღსრულების არასაკმარისი ეფექტურობა.</li> </ol>	ჭალის ტყე, ლელიანის კატა, ბეკობის არწივი, თეთრკუდა ფსოვი.
დაზიანება	<ol style="list-style-type: none"> <li>1. ადამიანის ზემოქმედება (ტრანსპორტის გადაადგილება);</li> <li>2. მშენებლობა მიმდებარე ტერიტორიებზე;</li> <li>3. მსხვილფეხა საქონლის და ცხვრის შესვლა ტერიტორიაზე/გადაჭარბებული ძოვება;</li> <li>4. უკონტროლო წყალაღება;</li> <li>5. დალის წყალსაცავის აშენება და წყლის დინების კანონზომიერების დარღვევა;</li> <li>6. აღსრულების არასაკმარისი ეფექტურობა.</li> </ol>	ჭალის ტყე, ლელიანის კატა.
ხანძრები	<ol style="list-style-type: none"> <li>1. კლიმატის ცვლილება;</li> <li>2. საგანგებო მართვის გეგმის არარსებობა</li> <li>3. აღსრულების ეფექტურობის შეზღუდვები;</li> <li>4. ბუფერულ ზონაში საძოვრების გადაწვის პრაქტიკის არსებობა.</li> </ol>	ჭალის ტყე, ლელიანის კატა, საკმლის ხე, შავი ღია, მრავალნაყოფა ღვია, სამხრეთის აკაკი, ჭალის მუხა



ეროზია	<ol style="list-style-type: none"> <li>1. კლიმატის ცვლილება;</li> <li>2. ძოვების არამდგრადი პრაქტიკები;</li> <li>3. წყალმოვარდნები.</li> </ol>	ჭალის ტყე
გადამოვება	<ol style="list-style-type: none"> <li>1. არასაკმარისი ცოდნა საძოვრების მართვასთან დაკავშირებით;</li> <li>2. აღსრულებასთან დაკავშირებული შეზღუდვები.</li> </ol>	<p>ჭალის ტყე,</p> <p>ჭალის მუხა,</p> <p>საკმლის ხე.</p>
დაავადებები	მავნებელი მწერების მონიტორინგის შეზღუდული შესაძლებლობები.	<p>საკმლის ხე,</p> <p>ჭალის მუხა.</p>
შეწუხება	<ol style="list-style-type: none"> <li>1. ხანძარი;</li> <li>2. ინფრასტრუქტურული პროექტები;</li> <li>3. ვიზიტორთა არასაკმარისად ეფექტური მართვა;</li> <li>4. ვიზიტორთა შეზღუდული ინფრასტრუქტურა;</li> <li>5. წყალაღება;</li> <li>6. ბრაკონიერობა;</li> <li>7. სამონადირეო მეურნეობის სიახლოვე.</li> </ol>	<p>ლელიანის კატა,</p> <p>ბექობის არწივი,</p> <p>საკმლის ხე,</p> <p>თეთრკუდა ფსოვი.</p>
ბრაკონიერობა	<ol style="list-style-type: none"> <li>1. სპორტული ინტერესი;</li> <li>2. ადამიანისა და მტაცებლის კონფლიქტი;</li> <li>3. ინტერესი რეკრეაციულ ნადირობასთან დაკავშირებით;</li> <li>4. ნადირობაზე მოთხოვნა;</li> <li>5. ნადირობის ტრადიციები რეგიონში;</li> <li>6. ნანადირევეზე მოთხოვნა;</li> <li>7. კანონალსრულების ეფექტურობის შეზღუდვები;</li> <li>8. სამონადირეო მეურნეობის არსებობა.</li> </ol>	<p>ლელიანის კატა,</p> <p>ბექობის არწივი,</p> <p>თეთრკუდა ფსოვი.</p>

სამუალო

დაბალი

2. ჭაჭუნის აღკვეთილის სამეცნიერო-საგანმანათლებლო, ეკოტურისტულ და საერთო სოციალურ-ეკონომიკურ ღირებულებებთან დაკავშირებული მთავარი საფრთხეები გავლენას ახდენს ეკოსისტემის შესაძლებლობებზე - უზრუნველყოს ეკოსისტემის სერვისები, რომლებიც მხარს უჭერენ ამ ღირებულებებს.

3. ჭაჭუნის აღკვეთილის ადმინისტრაცია ტერიტორიის დაცვას ახორციელებს პატრულირების მეშვეობით. ადმინისტრაციის მიერ შემუშავებულია საპატრულო მარშრუტები, რომელის მოიცავს ყველა კვარტალს. პატრულირების სამოქმედო გეგმა-გრაფიკის შემუშავება მიმდინარეობს ყოველთვიურად. პატრულირების მარშრუტების დაგეგმვა ხდება კვარტლების სპეციფიკიდან გამომდინარე და ხანძარსაშიში პერიოდების გათვალისწინებით.



## მუხლი 27. ადამიანური რესურსები

1. მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციაში დასაქმებულ თანამშრომლებს შესწევთ უნარი მათი ძირითადი ფუნქციების შესასრულებლად, მათი საქმიანობის შედეგები არ უნდა ჩაითვალოს სრულყოფილად, ვინაიდან, ადმინისტრაციის ძირითად პრობლემას დღესაც ბუნებრივი რესურსების უკანონო მოხმარება და უკონტროლო მოვება წარმოადგენს. აგრეთვე, დაბალ დონეზეა ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის, ეკოგანათლებისა და ეკოტურიზმის განვითარების მიმართულებები. უნდა აღინიშნოს, რომ აღკვეთილის ადმინისტრაციის თანამშრომლები საჭიროებენ თეორიულ და პრაქტიკულ ტრენინგებს ისეთ დამატებით სფეროებში, როგორებიცაა: მენეჯმენტის, ბიომრავალფეროვნების დაცვის, ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის, კომპიუტერული პროგრამებისა და საველე აღჭურვილობის გამოყენება, მონაცემთა შეგროვების, დაგეგმვისა და ანგარიშგების უნარებისა და დაცული ტერიტორიების ზოგადი მენეჯმენტის გაუმჯობესების მიზნით.

2. 2022 წლის მდგომარეობით ჭაჭუნის აღკვეთილის ადმინისტრაციაში დასაქმებულია 8 თანამშრომელი: ადმინისტრაციის დირექტორი – 1, დაცვის განყოფილებაში – 7, მათგან დაცვის განყოფილების უფროსი – 1, ბუნებრივი რესურსების უფროსი სპეციალისტი – 1, რეინჯერი – 5 (იხ. ცხრილი 4).

ცხრილი 4: ჭაჭუნის აღკვეთილის ადმინისტრაციის თანამშრომელთა რაოდენობა – 2020–2022 წწ.

წელი / პოზიციები	2020	2021	2022	
ადმინისტრაციის დირექტორი	1	1	1	
დაცვის განყოფილება	დაცვის განყოფილების უფროსი	1	1	1
	ბუნებრივი რესურსების უფროსი სპეციალისტი	1	1	1
	რეინჯერი	5	5	5
<b>სულ</b>	<b>8</b>	<b>8</b>	<b>8</b>	

3. ადმინისტრაციის საქმიანობის ანალიზი აჩვენებს 1 რეინჯერის დამატების საჭიროებას.

4. 2020 წელს საკონსულტაციო კომპანია PMO Business Consulting-მა, CNF-ის დაკვეთით, მოამზადა საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის შესაძლებლობების შეფასების დოკუმენტი, რომლის ერთ-ერთი ძირითადი შემაჯგნელია ტერიტორიული ადმინისტრაციების როლის გაძლიერების საკითხი ადამიანური რესურსების მართვაში და შეიმუშავა რეკომენდაციები მათი უნარების და კომპეტენციების განვითარებაზე.

5. დოკუმენტში განხილულია როგორც ორგანიზაციული პროცესების ოპტიმიზაცია და შიდა კომუნიკაციის ეფექტური მექანიზმების დანერგვა, ასევე ადამიანური რესურსების უნარებისა და კომპეტენციების გაძლიერება ცენტრალურ და ტერიტორიული ადმინისტრაციების დონეზე. კერძოდ, მითითებულია, რომ უნდა შემუშავდეს თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების სისტემა და, შესაბამისად, აღნიშნულ სისტემაზე დაფუძნებული სამოტივაციო სქემები, ასევე, ადამიანური რესურსების განვითარებისა და პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების ერთიანი პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და ტერიტორიულ ადმინისტრაციებში უნარების გაძლიერების საჭიროებების გამოვლენას და შესაბამისი ტრენინგების და პროფესიული გადამზადების კურსების შემუშავება-განხორციელებას.

## მუხლი 28. ადმინისტრაციის მდგომარეობა, ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა

1. ჭაჭუნის აღკვეთილის ადმინისტრაციის ოფისი მდებარეობს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ბარათაშვილის ქ.№5-ში, ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციულ შენობაში.



2. ჭაჭუნის აღკვეთილის ადმინისტრაციას ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციასთან ერთობლივად გააჩნია ადმინისტრაციული შენობა და ვიზიტორთა ცენტრი, სადაც ხდება სტუმრებისათვის ინფორმაციის მიწოდება. საჭიროა, ეკოტურისტული ბილიკების მოწყობა და თავშესაფრების აშენება, ასევე საკარვე და საპიკნიკე ადგილების მოწყობა.

3. ადმინისტრაციას ჰყავს 2 ერთეული „სუზუკი ჟიმნის“ და 1 ერთი ერთეული „მიცუბიშის პიკაპის“ ტიპის ავტომანქანა. ავტომანქანები მოძველებულია და საჭიროებს პერმანენტულ რემონტს.

4. ადმინისტრაციის დაცვის განყოფილებას აქვს სახანძრო აღჭურვილობა: უნიფორმები - 2 კომპლექტი (სახანძრო ჩექმა - 2 წყვილი, სახანძრო ქამარი - 2 ცალი.), სახანძრო ქურთუკი - 2 ცალი, სახანძრო ჩაფხუტი - 2 ცალი, სახანძრო ხელთათმანი - 3 წყვილი, სახანძრო ბარი - 2 ცალი, სახანძრო ქამარი - 2 ცალი, სახანძრო მისასხურებელი აპარატი -1 ცალი, სახანძრო ზურგჩანთა - 5 ცალი. 10 ცალი ფოტოხაფანგი, 6 ცალი სამკერდე კამერა, 1 GPS, ადმინისტრაციას ჰყავს 2 ცხენი, რომელთაგან ერთს ასაკის გამო ვერ იყენებენ, ხოლო მეორეს ესაჭიროება გაწვრთნა. არ გააჩნიათ, აგრეთვე, ცხენებისთვის საჭირო აღჭურვილობა.

5. დამატებით საჭიროა რეინჯერთა აღჭურვილობის შესყიდვა: 6 ბინოკლი და 2 ნახევრადპროფესიული ფოტოაპარატი.

## მუხლი 29. დაფინანსება

ჭაჭუნის აღკვეთილის ადმინისტრაცია დამოკიდებულია სახელმწიფო ბიუჯეტზე. ადმინისტრაციისთვის მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება საკუთარი შემოსავლების ნაწილის გაჩენა გრძელვადიან პერიოდში. ამ ეტაპზე ადმინისტრაციას აქვს მხოლოდ სერვისებიდან მიღებული შემოსავალი – თევზაობის გადასახადი და სასტუმროს ნომრების გაქირავებიდან მიღებული შემოსავალი (იხ. ცხრილი 5).

ცხრილი 5: ტურისტული მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები 2018-2021 წ.წ.

სერვისის/შეთავაზების დასახელება	2018	2019	2020	2021
ჭაჭუნის სასტუმრო სახლის გაქირავება	2145	2015	0	470
ზურგჩანთის გაქირავება	0	0	0	0
პარალონის გაქირავება	0	0	0	0
საკარვე ადგილის გაქირავება	610	0	0	0
სპორტული თევზაობიდან მიღებული შემოსავალი	1030	2795	1271	1815
შემოწირულობა	0	30	0	0
<b>სულ</b>	<b>3785</b>	<b>4840</b>	<b>1271</b>	<b>2285</b>

შემოსავლების შემცირება გამოწვეულია მსოფლიოში შექმნილი ვითარებიდან და საქართველოში გავრცელებული ახალი კორონავირუსით (COVID 19) გამოწვეული პანდემიიდან გამომდინარე.

## მუხლი 30. ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა

1. ჭაჭუნის აღკვეთილში საშუაე მერქანი არ გაიცემა.



2. აღკვეთილის ტერიტორიაზე დაახლოებით 1398 ჰა სამოვარია, ხოლო მიმდებარე ტერიტორიაზე 33 ფერმა, სადაც ძოვს დაახლოებით 1 500 სულამდე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და 120 000-მდე ცხვარი.

3. ადმინისტრაციის ინფორმაციით, აღკვეთილის ტერიტორიაზე თავდასხმები შინაურ პირუტყვზე გახშირდა. 2019 წელს აღირიცხა 55 შემთხვევა.

### მუხლი 31. ეკოტურიზმი

1. ჭაჭუნის აღკვეთილის ადმინისტრაციის შენობა მთელი წლის განმავლობაში ღიაა ვიზიტორებისთვის, აქ შესაძლებელია ეკოტურისტული სერვისების შესახებ ინფორმაციის მიღება, ანგარიშსწორება და ტურისტული აღჭურვილობის დაქირავება.

2. ადმინისტრაციას არ ჰყავს ვიზიტორთა მომსახურების სპეციალისტი, ამიტომ ინფორმაციის მიწოდება ხდება ბუნებრივი რესურსების სპეციალისტის მიერ, რომელსაც ეხმარება ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის ვიზიტორთა მომსახურების სპეციალისტი. სტუმრებს, რეგისტრაციის დროს, მიეწოდებათ საჭირო ინფორმაცია ჭაჭუნის აღკვეთილში ვიზიტორთა ქცევის წესებისა და ვალდებულებების შესახებ, ასევე, გადაუდებელი დახმარების სერვისთან დაკავშირებული საკონტაქტო ინფორმაცია.

3. ჭაჭუნის აღკვეთილის ადმინისტრაციას ეკოტურისტული აქტივობების განსახორციელებლად გააჩნია შემდეგი სახის რესურსები:

ა) ტურისტული სასტუმრო სახლი ჭაჭუნის აღკვეთილში, სველი წერტილით, 4 ნომრით, სადაც 10 ადამიანის განთავსებაა შესაძლებელი, კვების ორგანიზების გარეშე (საჭიროებს გაუმჯობესებას);

ბ) აღჭურვილობა გასაქირავებლად (კარავი, სამილე ტომარა, პარალონი, ზურგჩანთა).

4. ჭაჭუნის აღკვეთილის ადმინისტრაცია ვიზიტორებს სთავაზობს შემდეგი სახის ეკოტურისტულ მომსახურებებს:

ა) ფრინველებზე დაკვირვების და სპორტული თევზაობის ტურების ორგანიზება აღკვეთილის ტერიტორიაზე;

ბ) სასტუმრო სახლის დაჯავშნა;

გ) გამყოლის მომსახურების უზრუნველყოფა.

5. აღკვეთილის ტერიტორიაზე შესვლა უფასოა, ვიზიტორები იხდიან თანხას ადმინისტრაციის მიერ შეთავაზებულ სერვისებში, როგორცაა: ღამისთევა ჭაჭუნის აღკვეთილის სასტუმრო სახლში და კარავში, სპორტული თევზაობა, საკარვე აღჭურვილობის გაქირავება. გიდის და გამყოლის მომსახურება არ არის ადმინისტრაციის სერვისი, თუმცა, ისინი აწვდიან შესაბამის ინფორმაციას და რეკომენდაციას. ფასები ფიქსირებულია (თუმცა, წლის ან სეზონის განმავლობაში შესაძლებელია შეიცვალოს). გარკვეულ სერვისზე არსებობს ფასდაკლება მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის.

6. ჭაჭუნის აღკვეთილი ვიზიტორებისთვის წარმოადგენს ველური ბუნების, სათავგადასავლო მოგზაურობის არეალს. ჭაჭუნის აღკვეთილი მთელი წლის მანძილზე ღიაა ვიზიტორებისთვის.

7. ფრინველებზე დაკვირვებისათვის საუკეთესო პერიოდია გაზაფხული (აპრილი-მაისი) და შემოდგომა (ოქტომბერი-ნოემბერი); სპორტულ-სამოყვარულო თევზაობისთვის საუკეთესო პერიოდი გრძელდება აპრილიდან ივლისის ბოლომდე.

8. ვიზიტორებისათვის საინტერესოა ასევე ენდემური სახეობების (ქართული ზამბახი, ეხლერის ტიტა) ყვავილობის პერიოდი, რომელიც გრძელდება აპრილიდან მაისის ბოლომდე; საკმლის ხის ნაყოფის



მწიფობის პერიოდი გრძელდება სექტემბრიდან ნოემბრის ბოლომდე.

9. 2021 წლიდან საბუკო ჭაჭუნის აღკვეთილში ბუნების კონსერვაციაზე ორიენტირებული ვიზიტორთა მომსახურების სერვისების შექმნისა და განვითარების ორწლიან პროექტს ახორციელებს, რომელიც დაფინანსებულია გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მცირე გრანტების პროგრამის (GEF SGP) ფარგლებში. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია აღკვეთილში მოეწყოს კოტეჯი, ფრინველებზე დასაკვირვებელი პუნქტი, საკემპინგე და ლემიჭამია ფრინველთა რესტორანი. ამჟამად შემუშავებულია ზემოქმედების კვლევის ანგარიში და დაწყებულია ეკოტურისტული ობიექტების დაგეგმვის სამუშაოები.

10. ჭაჭუნის აღკვეთილში შესაძლებელია საგანმანათლებლო, სალაშქრო, სამეცნიერო, ფრინველებზე დაკვირვებისა და სამოყვარულო თევზჭერის ტურების დაგეგმვა.

11. 2019 წელს ჭაჭუნის აღკვეთილს ესტუმრა 3060 ვიზიტორი, 2020 წელს 1063 ვიზიტორი, ხოლო 2021 წელს 2109 ვიზიტორი. ვიზიტორთა რაოდენობის შემცირება გამოწვეულია ახალი კორონავირუსით (COVID 19) გამოწვეული პანდემიიდან გამომდინარე.

## მუხლი 32. ეკოგანათლება

1. სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიზანს წარმოადგენს სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისთვის სპეციალური ეკოსაგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება. ეკოსაგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:

ა) მოსახლეობის ფართო ფენების მიერ დაცული ტერიტორიების მნიშვნელობისა და როლის გააზრება ქვეყნისა და მომავალი თაობების საკეთილდღეოდ და ბუნებრივი მემკვიდრეობის კონცეფციის, როგორც ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი მემკვიდრეობის ნაწილის დაცვის იდეის მხარდაჭერა;

ბ) მოსახლეობის ფართო ფენებში მაღალი ეკოლოგიური ცნობიერების ჩამოყალიბება;

გ) მიღებული ინფორმაციისა და ცოდნის საფუძველზე დაცული ტერიტორიებისა და ბუნებრივი გარემოს მიმართ საზოგადოების კეთილგანწყობის, დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება და შესაბამისი უნარ-ჩვევებით აღჭურვა;

დ) მოსახლეობის ჩართულობის მაღალი დონე გარემოსდაცვითი პრობლემების გადაწყვეტის მიზნით;

ე) მოსახლეობის ფართო ფენების თანადგომის მოპოვება დაცულ ტერიტორიებზე ეკოლოგიური პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით.

2. ჭაჭუნის აღკვეთილის ადმინისტრაციის თანამშრომლების საკომუნიკაციო საქმიანობა, ამჟამად, ადგილობრივ მოსახლეობაზე, სკოლის მოსწავლეებზე, სტუდენტებზე, პედაგოგებსა და ვიზიტორებზეა მიმართული. სხვადასხვა საკითხზე მოსახლეობის ინფორმირება უმეტესად პირდაპირი კონტაქტით, ზეპირი ფორმით ხდება, ყოველდღიური მუშაობის პროცესში. თუმცა, სპეციალურად რაიმე საკითხზე ინფორმირების მიზნით შეხვედრები შედარებით ნაკლებად ეწყობა.

3. ჭაჭუნის აღკვეთილის ადმინისტრაციას გააჩნია საკუთარი ფეისბუქგვერდი, რომლის განახლება ხდება პერიოდულად. ადმინისტრაციას არ აქვს ბეჭდური მასალა – საინფორმაციო ბუკლეტები, რომლებიც ადმინისტრაციის საქმიანობასა თუ კონკრეტულ დაცულ ტერიტორიასთან დაკავშირებულ მოვლენებს აშუქებს.

4. ჭაჭუნის აღკვეთილის ადმინისტრაცია ამზადებს ყოველწლიურ ანგარიშებს და “ბუნების მატყანეს”. სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო უზრუნველყოფს სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და ტერიტორიული ადმინისტრაციების ერთიანი ანგარიშის გავრცელებას.

5. ადმინისტრაცია მუდმივად ეწევა სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო საქმიანობას სასწავლო



დაწესებულებებთან.

6. აღკვეთილის ადმინისტრაციის მიერ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის ტარდება პრევენტაციები და ლექცია-სემინარები საქართველოს დაცული ტერიტორიებისა და ჭაჭუნის აღკვეთილის შესახებ. მოსწავლეები დეტალურად ეცნობიან საქართველოს დაცული ტერიტორიებისა და აღკვეთილის ადმინისტრაციის მიზნებს, საქმიანობებს, მართვასა და ეკოტურისტულ პოტენციალს. რაიონის მიმდებარე სკოლებში ყოველწლიურად იმართება ღონისძიებები სხვადასხვა სახის ეკოლოგიური პრობლემის თემატიკასთან დაკავშირებით,

7. ჭაჭუნის აღკვეთილის ადმინისტრაცია აწყო სპეციალურ გარემოსდაცვით ღონისძიებებს ე. წ. „მწვანე კალენდრის“ მიხედვით, როგორცაა 2 თებერვალი – ჭარბტენიანი ტერიტორიების დაცვის საერთაშორისო კვირეული, 21 მარტი – ტყის დღე, 26 მარტი – დედამიწის საათი, 22 აპრილი – დედამიწის საერთაშორისო დღე. ღონისძიებების მიზანია გლობალური ცნობიერების ამაღლება და გარემოსდაცვითი საქმიანობების განხორციელება.

8. 2018 წელს ჭაჭუნის აღკვეთილის ადმინისტრაციის მიერ ჩატარებულ გარემოსდაცვით ღონისძიებებში ჩაერთო 2 184 ადამიანი. მათ შორის: 856 მოსწავლე, 223 პედაგოგი, 150 სტუდენტი, 673 ადგილობრივი მოსახლე, 282 სხვა (თანამშრომლები და მკვლევრები). სულ ჩატარდა 190 ღონისძიება. მათ შორის: ლექცია-სემინარი - 78, მწვანე აქცია - 6, ეკოტური - 23, მოქალაქეებთან შეხვედრა - 71, დასუფთავების აქცია - 12.

9. 2019 წელს ჭაჭუნის აღკვეთილის ადმინისტრაციის მიერ ჩატარებულ გარემოსდაცვით ღონისძიებებში ჩაერთო 2 222 ადამიანი. მათ შორის: 906 მოსწავლე, 82 პედაგოგი, 229 სტუდენტი, 851 ადგილობრივი მოსახლე, 154 სხვა (თანამშრომლები და მკვლევრები).

სულ ჩატარდა 216 ღონისძიება. მათ შორის: ლექცია-სემინარი - 98, მწვანე აქცია - 12, ეკოტური - 28, მოქალაქეებთან შეხვედრა - 68, დასუფთავების აქცია - 10.

10. 2020 წელს ჭაჭუნის აღკვეთილის ადმინისტრაციის მიერ ჩატარდა 64 ეკოსაგანმანათლებლო ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიება, რომელშიც სულ ჩაერთო 977 მონაწილე. 2021 წლის 6 თვის განმავლობაში ადმინისტრაციის მიერ ჩატარდა 25 აქტივობა, სადაც მონაწილეობა მიიღო 483-მა ადამიანმა.

11. 2021 წელს, კორონავირუსის პანდემიის პირობებში, ადმინისტრაციის მიერ განხორციელებულმა ეკოსაგანმანათლებლო აქტივობებმა მოიცვა 864 მონაწილე. მათ შორის 148 ადგილობრივი მუნიციპალიტეტის სკოლების მოსწავლე, 79 სტუდენტი, 447 ადგილობრივი მოსახლე და 190 სხვა პირი.

12. ადმინისტრაციის თანამშრომლები ყოველწლიურად ატარებენ გამოკითხვას საზოგადოებრივი აღქმისა და სოციალური გავლენის მონიტორინგისა და შეფასების მიზნით, სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ წინასწარ განსაზღვრული კითხვარების მეშვეობით. გამოკითხვა ხორციელდება ყველა სოფელში, გამოკითხულთა რაოდენობა მინიმუმ 100 რესპოდენტს შეადგენს.

13. ეკოსაგანმანათლებლო საქმიანობის მართვა:

ა) ჭაჭუნის აღკვეთილის ადმინისტრაციაში ეკოსაგანმანათლებლო საქმიანობის მართვაზე პასუხისმგებელია ბუნებრივი რესურსების უფროსი სპეციალისტი;

ბ) ქმედებები, რომლებიც უკავშირდება ეკოსაგანმანათლებლასა და საზოგადოებასთან ურთიერთობას, თანხმდება და იმართება ცენტრალიზებულად სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს უშუალო კონტროლის ქვეშ.

14. ეკოსაგანმანათლებლასთან დაკავშირებული პრობლემები და შესაძლებლობები: ჭაჭუნის აღკვეთილის ადმინისტრაციას არ გააჩნია საჭირო ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა, თანამშრომლებს არ აქვთ საჭირო კვალიფიკაცია, რომელიც საშუალებას მისცემს მათ, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთად აწარმოონ ეფექტური ეკოსაგანმანათლებლო და შემეცნებითი საქმიანობა (ადმინისტრაციას არ აქვს საინფორმაციო ბუკლეტები მოსწავლეებისთვის, ნერგები მწვანე აქციების დროს და სხვა).



### მუხლი 33. საზოგადოებასთან ურთიერთობა

1. ადმინისტრაციისთვის საზოგადოებასთან ურთიერთობა მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს. იგი ხელს უწყობს დაცული ტერიტორიის დადებითი იმიჯის ჩამოყალიბებას, ზრდის საზოგადოების ინფორმირებულობასა და ცნობიერებას დაცულ ტერიტორიასთან მიმართებით; ყოველივე ეს კი განაპირობებს საზოგადოების ჩართულობას დაცული ტერიტორიების განვითარების პროცესში და ზრდის ადმინისტრაციის მენეჯმენტის ეფექტურობას.
2. საზოგადოებასთან ურთიერთობა ხორციელდება ადმინისტრაციის თანამშრომლების ჩართულობით სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს შესაბამისი სამსახურის ხელმძღვანელობით.
3. საზოგადოებასთან ურთიერთობა ხორციელდება შემდეგი რესურსების გამოყენებით: საინფორმაციო მასალები, დაცული ტერიტორიების ვებგვერდი – [apa.gov.ge](http://apa.gov.ge), სოციალური ქსელები (Facebook, Instagram, Twitter და youtube).
4. სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტო თანამშრომლობს ცენტრალურ მედიასთან.
5. სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის საქმიანობების ძირითად მიზნობრივ ჯგუფებს წარმოადგენს მასმედია, ტუროპერატორი კომპანიები, მოსწავლე-ახალგაზრდობა და ადგილობრივი მოსახლეობა.
6. საბუკომ 2021 წელს CNF-ის მხარდაჭერით დაასრულა დოკუმენტური ფილმის „უდაბნოს პირისპირ“ გადაღება. ფილმი მაყურებელს აცნობს ჭაჭუნის ალკვეთილს, მის ბიომრავალფეროვნებას, მნიშვნელობას და ალკვეთილის წინაშე მდგარ გამოწვევებს. ასევე დაწყებულია ხელოვანთა რეზიდენციის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც შემუშავდება მულტიმედიური მასალები ჭაჭუნის ალკვეთილის შესახებ.

### მუხლი 34. პარტნიორული თანამშრომლობა

1. პარტნიორული და საქმიანი ურთიერთობების დამყარება და არსებული კავშირების განვითარება სხვადასხვა უწყებასთან (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობა (მერია, საკრებულო), სასაზღვრო პოლიცია, საგანმანათლებლო რესურსცენტრი, საჯარო სკოლები, სამაშველო სამსახური და სხვა) საჭიროებს გაუმჯობესებას და მუდმივ ყურადღებას ალკვეთილის ადმინისტრაციის მხრიდან.
2. გრძელვადიან პერიოდში სასურველი იქნება ჭაჭუნის ალკვეთილის მოსაზღვრედ აზერბაიჯანის რესპუბლიკაში მდებარე ელდარის ნაკრძალთან თანამშრომლობა ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის და გამოცდილებების ურთიერთგაცვლის მიზნით.
3. 2021 წელს საქართველოს მთავრობამ UNESCO-ში წარადგინა დედოფლისწყაროს ბიოსფერული რეზერვატის ნომინაციის შესახებ განაცხადი, რომელიც მოიცავს ჭაჭუნის ალკვეთილის ტერიტორიასაც. შესაბამისად, ამ ბიოსფერული რეზერვატის შექმნის შემდეგ ალკვეთილის ადმინისტრაცია თავის საქმიანობას განახორციელებს მის მმართველ სტრუქტურასთან კოორდინაციაში.

### მუხლი 35. კვლევა-მონიტორინგი

1. ჭაჭუნის ალკვეთილის ადმინისტრაცია სისტემატურად ახდენს ბიომრავალფეროვნების მონიტორინგს. რეინჯერები პატრულირებისას აღრიცხავენ შეხვედრილ სახეობებს, რომლის დაფიქსირებაც ხდება ყოველდღიურ ჟურნალში. ჭაჭუნის ალკვეთილის ადმინისტრაციის დაცვის





განყოფილება ამზადებს ყოველწლიურ „ბუნების მატრიას“ დაცული ტერიტორიის შესახებ, რომელიც შეიცავს მეტეოროლოგიურ და სახეობებზე შემთხვევითი დაკვირვების მონაცემებს, საფრთხეში მყოფი სახეობებისა და ჰაბიტატების ჩათვლით, აგრეთვე, აღკვეთილის ტერიტორიაზე მომუშავე გარე მკვლევართა და მეცნიერთა საქმიანობების შესახებ ანგარიშებს.

2. ჭაჭუნის აღკვეთილში და მის მიმდებარედ „საბუკოს“ მიერ ტარდება მონიტორინგი და სამეცნიერო კვლევები „წითელი ნუსხის“ სახეობებზე, მტაცებელ ფრინველებზე, როგორებიცაა: ბექობის არწივი, ბატკანძერი, სვავი, ორბი და სხვა.

3. ჭაჭუნის აღკვეთილის ადმინისტრაცია თანამშრომლობს გარემოსდაცვით ორგანიზაცია „საბუკოსთან“, რომელმაც უკვე განახორციელა შემდეგი საქმიანობები: ჩატარდა აღკვეთილში და მის მიმდებარედ არსებული საძოვრების კვლევა, მოეწყო პირუტყვისთვის დასარწყულბელი დერეფნები მდინარე იორზე ჩასასვლელად, შეფასდა მდ. იორის ჭალის ტყის მდგომარეობა, ჩატარდა მდ. იორის ჰიდროლოგიური ანალიზი, მიმდინარეობს ბიომრავალფეროვნების კვლევა „ზურმუხტის ქსელის“ საიტზე, სამ ადგილას დაირგო 50 ძირი ჭალის მუხა, აღკვეთილის მიმდებარე საძოვრებზე დაინერგა როტაციული ძოვება და სხვა. კვლევებში აგრეთვე ჩართულია სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო და უცხოელი მკვლევრები.

4. საბუკომ ჭაჭუნის აღკვეთილში მოაწყო ქვაყრილი/გაბიონი, რომელიც ხელს შეუწყობს დალის წყალსაცავიდან გამოშვებული წყლის სიჩქარის შემცირებას, დონის ამაღლებას და ჭალის ტყის დატბორვას.

### **მუხლი 36. კლიმატის ცვლილება და გაუდაბნობა**

კლიმატის ცვლილებისფონზე, განსაკუთრებულად მოწყვლადია არიდული და სემიარიდული ტერიტორიები. ყველაზე მეტად ეს ეხება ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებს და ჭაჭუნის აღკვეთილს. პროგნოზით 2100 წლისათვის ჰაერის ტემპერატურა ამ რეგიონში, სავარაუდოდ, მოიმატებს 4-5 °C-ით, ხოლო ნალექების საშუალო წლიური მოცულობა – დაიკლებს 15%-ით. უკვე აღნიშნულია, რომ ამ ტერიტორიებზე, რომლებიც თავისთავად მძიმე ეროზიული ფაქტორების (გვალვა, ტემპერატურების დიდი ამპლიტუდა, ქარი) გავლენას განიცდიან, კლიმატის ცვლილებას უკვე მოჰყვა გვალვიანი პერიოდების ორმაგი ზრდა. გაუდაბნობების საფრთხის ქვეშაა მშრალი და მშრალი სუბტროპიკული ჰავის (ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 350-400 მმ.) გავლენით ჩამოყალიბებული ლანდშაფტები. კერძოდ, ეს ეხება ფსტისა და ღვიის მეჩხერ ტყეებს. გაქრობა ემუქრება, ასევე, ჭაჭუნის აღკვეთილში დაცულ ფრინველთა სახეობებს – კაკაბს, დურაჯს, ხობობსა და ბექობის არწივს. კლიმატის ცვლილების შედეგად შემჩნეულია ირანისა და პაკისტანის ცხელი არიდული რეგიონებისათვის დამახასიათებელი სახეობების – მაჩვზღარბას ცალკეული პოპულაციებისა და მიწის კურდღლის ერთეული ინდივიდების სახით გაჩენა.

### **თავი 5. ჭაჭუნის აღკვეთილის საზღვრები და დაშვებული საქმიანობები**

#### **მუხლი 37. ჭაჭუნის აღკვეთილის ტერიტორიის საზღვრები**

ჭაჭუნის აღკვეთილი მოიცავს „დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლით განსაზღვრულ ტერიტორიას, საერთო ფართობით – 5,032 ჰა.

#### **მუხლი 38. ჭაჭუნის აღკვეთილის ტერიტორიაზე დაშვებული საქმიანობები**

1. ჭაჭუნის აღკვეთილის ტერიტორიაზე „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს



კანონის შესაბამისად, დაშვებულია შემდეგი საქმიანობები:

ა) ტერიტორიაზე ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება;

ბ) ტერიტორიაზე არსებული ეკოსისტემებისა და მის ფარგლებში გავრცელებულ გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა სახეობების დაცვა, მოვლა და აღდგენა;

გ) ტყის ეკოსისტემების დაცვა, მოვლა და აღდგენა;

დ) არამანიპულაციური და მანიპულაციური სამეცნიერო კვლევა;

ე) საგანმანათლებლო საქმიანობა;

ვ) საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის მიზნით შეზღუდული რაოდენობის საჰერბარიუმო მასალის შეგროვება;

ზ) დაცვის, ტურისტული და რეკრეაციული ინფრასტრუქტურის შექმნა და მოწყობა;

თ) აღდგენითი ღონისძიებების განხორციელების მიზნით მუდმივი და დროებითი სანერგეების მოწყობა და ცხოველთა სამყაროს აღდგენის მიზნით ვოლიერების მოწყობა;

ი) სტიქიური უბედურების, კატასტროფის, საგანგებო მდგომარეობისა და აღდგენითი სამუშაოების დროს, სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელების მიზნით, ტერიტორიაზე ავტო-მოტო და საჰაერო სატრანსპორტო საშუალებებით გადაადგილება;

კ) მონიტორინგის სამუშაოთა წარმოება;

ლ) საკადასტრო სამუშაოთა განხორციელება;

მ) ბუნებრივი რესურსების აღრიცხვა;

ნ) გზებზე ტრანსპორტით გადაადგილება;

ო) ვიზიტორთა ყოფნა და გადაადგილება;

პ) გზებისა და ბილიკების მოვლა და მოწყობა;

ჟ) ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, დრონით და ფოტოხაფანგებით გადაღება;

რ) ჭაჭუნის აღკვეთილის მიმდებარე დასახლებული პუნქტების მოსახლეობის პირადი მოხმარებისათვის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, არამერქნული რესურსებით სარგებლობა, ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებით სარგებლობა, ხის მეორეხარისხოვანი მასალებით სარგებლობა, მოვება (ტყით დაუფარავ ფართობში), საქონლის სატრანზიტო გადარეკვა იმ შემთხვევაში, თუ საქონლის გადარეკვა სხვა მხრიდან შეუძლებელია; ცხოველთა სამყაროსათვის დამატებითი საკვების შექმნის მიზნით, ხვნა-თესვა და საკვებური მოედნების მოწყობა, თიბვა, სოკოს, ხილ-კენკრის შეგროვება, საფუტკრეების მოწყობა, ასევე „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის 2<sup>6</sup> პუნქტით განსაზღვრული სპეციალური დანიშნულებით სარგებლობა და საქართველოს ტყის კოდექსის 37-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა.გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობა, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული სხვა საქმიანობა.

2. ჭაჭუნის აღკვეთილის ტერიტორიაზე მოწყობილ სამონადირეო მეურნეობაში დაშვებულია ნადირობა, სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის მფლობელთან შეთანხმებითა და კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. ჭაჭუნის აღკვეთილის ტერიტორიაზე დაშვებულია „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს



მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების 2<sup>1</sup> მუხლით განსაზღვრულ შემთხვევებში მიწისქვეშა წყლებით სარგებლობა.

4. სასაზღვრო ზონასა და ზოლში, „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, დაშვებულია საზღვრის დაცვისათვის დადგენილი საქმიანობა, მათ შორის, სახელმწიფო საზღვრის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სასაზღვრო ზონისა და ზოლის ფარგლებში სასაზღვრო-პოლიციური ღონისძიებების განხორციელება, საზღვრის დაცვის ტექნიკური საშუალებებისა და ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა/მოწყობა/განთავსება.

5. სასაზღვრო ზონასა და სასაზღვრო ზოლში ნებისმიერი დაშვებული საქმიანობა ხორციელდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებთან შეთანხმებით.

## თავი 6. მენეჯმენტის გეგმის პროგრამები

### მუხლი 39. პასუხისმგებლობა მენეჯმენტის გეგმის განხორციელებაზე

1. სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტო (ცენტრალური აპარატი და ჭაჭუნის ალკვეთილის ადმინისტრაცია) პასუხისმგებელია მენეჯმენტის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების ორგანიზებასა და განხორციელებაზე, მათი განხორციელების მონიტორინგსა და მენეჯმენტის გეგმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევაზე.

2. მენეჯმენტის გეგმა ხორციელდება სამი (სამწლიანი) საოპერაციო და ცხრა (წლიური) სამუშაო გეგმის საშუალებით. საოპერაციო გეგმა მოიცავს განსახორციელებელ ქმედებებს საჭირო ბიუჯეტის ჩათვლით.

3. სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტო, ჭაჭუნის ალკვეთილის ადმინისტრაციასთან ერთად, უზრუნველყოფს სხვადასხვა თემატური ორგანიზაციებისა და ექსპერტების ჩართულობასა და გარკვეული ღონისძიებების განხორციელებაში თანამშრომლობას, რომელიც ხელს შეუწყობს ალკვეთილის მენეჯმენტის გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

### მუხლი 40. მენეჯმენტის გეგმის პროგრამები

1. ჭაჭუნის ალკვეთილის მენეჯმენტის გეგმა მოიცავს მართვის რვა თემატურ პროგრამას. ამ პროგრამების მიზნები და ქმედებები ესადაგება ძირითად პირდაპირ და არაპირდაპირ საფრთხეებს, გამოწვევებსა და მენეჯმენტის შეზღუდვებს, რომლებიც აღწერილია სიტუაციურ ანალიზში (თავი IV). ეს პროგრამებია:

- ა) პატრულირება და კანონდასრულება;
- ბ) ბიომრავალფეროვნებისა და არსებული საფრთხეების მონიტორინგი;
- გ) ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება;
- დ) ხანძრების, მავნებლებისა და დაავადებების მართვა;
- ე) ეკოტურიზმი და ვიზიტორთა მართვა;
- ვ) გარემოსდაცვითი განათლება;
- ზ) საზოგადოებასთან ურთიერთობა;
- თ) ჭაჭუნის ალკვეთილის ადმინისტრაციის გაძლიერება.



2. მენეჯმენტის გეგმის მომდევნო მუხლები განსაზღვრავს მენეჯმენტის გეგმის პროგრამების მიზნებს, შესაბამის ინდიკატორებსა და შემოწმების საშუალებებს. თითოეული მიზნის მისაღწევად განისაზღვრა ქმედებების ჩამონათვალი, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იყოს საოპერაციო და ყოველწლიურ სამოქმედო გეგმებში. საჭიროებიდან გამომდინარე, მენეჯმენტის გეგმის განხორციელების პერიოდში, შესაძლებელია შეიცვალოს, ან შესწორდეს დაგეგმილი ქმედებები, რომ მიღწეულ იქნას მენეჯმენტის გეგმის პროგრამების თითოეული მიზანი.

### მუხლი 41. პატრულირებისა და კანონაღსრულების პროგრამა

პატრულირებისა და კანონაღსრულების პროგრამის ძირითადი მიზანია უზრუნველყოს ძირითადი ღირებულებების დაცვა ბრაკონიერობის, ხანძრების, დაზინძურებისა და იმ საფრთხეებისგან, რომლებიც გამოვლინდა სიტუაციური ანალიზის დროს და იდენტიფიცირებულია 26-ე მუხლის მე-3 ცხრილში.

მიზანი 1: 2031 წლისთვის გაუმჯობესებულია კანონაღსრულების ეფექტურობა და შემცირებულია ბიომრავალფეროვნებაზე უკანონო ზემოქმედების საფრთხეები თანამედროვე მართვის მექანიზმების და ტექნოლოგიების გამოყენებით.

ინდიკატორი 1.1: 2031 წლისთვის გაძლიერებულია ჭაჭუნის აღკვეთილის ადმინისტრაციის შესაძლებლობები, თავიდან აირიდოს უკანონო ქმედებები და მინიმუმ 90%-ით გაზრდილია გამოვლენილ კანონდარღვევებზე დროული და ეფექტური რეაგირება.

ქმედებები	ინდიკატორები	ინდიკატორის შემოწმების საშუალებები	წინაპირობა
1.1. პატრულირებისა და კანონაღსრულების არსებული სისტემის ანალიზი და შესაბამისი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შედგენა, ჭაჭუნის აღკვეთილის ძირითადი ღირებულებების, ჰაბიტატებისა და ეკოსისტემების გავრცელების არელების პრიორიტეტულობით.	2025 წლისთვის ადმინისტრაციას აქვს პატრულირების და კანონაღსრულების სტრატეგია და მოქმედების გეგმა.	სტრატეგიისა და მოქმედების გეგმის დოკუმენტები.	სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს და დონორის მხარდაჭერა.
1.2. პატრულირების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა (SMART).	თანამშრომლების რაოდენობა, რომლებიც იყენებენ SMART ტექნოლოგიას 2024 წლისთვის.	SMART ანგარიშები.	სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს და დონორების/პარტნიორების მხარდაჭერა.
1.3. არსებული პატრულირების სექმის განახლება გამოვლენილი საფრთხეებისა და დამატებითი შესაძლებლობების (ტექნოლოგიური, ტექნიკური და ადამიანური) არსებობის შემთხვევაში (მაგალითად: საპატრულო მარშრუტების დამატება და პატრულირების სიხშირის გაზრდა).	2024 წლისთვის გამოვლენილი საფრთხეების და დამატებითი შესაძლებლობების საფუძველზე განახლებულია საპატრულო სექმა.	პატრულირების სექმა.  პატრულირების ანგარიშები.	სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს მხარდაჭერა.
1.4. დამატებითი საინფორმაციო ნიშნებისა და აკრძალული ქმედებების დაფების განთავსება აღკვეთილის საზღვრებთან.	აღკვეთილის საზღვრის მთლიან პერიმეტრზე, ყველა მისაღმომ ადგილას განთავსებულია საინფორმაციო/ამკრძალავი დაფა.  დაფები განთავსებულია დაცული ტერიტორიების ყველა შესასვლელთან.	საინფორმაციო ნიშნებისა და აკრძალული დაფების განთავსების რუკა და ფოტო დოკუმენტაცია.	სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს, დონორის და პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერა.
1.5. დაცვის განყოფილებისა და დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციის სხვა თანამშრომლებისთვის პროფესიული ტრენინგების ჩატარება პატრულირებისა და	ყოველ 2 წელიწადში ერთხელ ჩატარებულია სულ მცირე ერთი 4-დღიანი ტრენინგი, დაცული ტერიტორიის სულ მცირე 5 თანამშრომლისათვის.	ტრენინგის მასალები, შეფასების ფორმები, ფოტო-დოკუმენტაცია.	სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს, დონორის და პარტნიორი ორგანიზაციის



კანონალსრულების მიმართულებით, შესაბამისი უწყებების ბაზაზე (შსს, სასამართლო).	რეინჯერთა და დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციის სხვა თანამშრომლების რაოდენობა, რომლებმაც გაიარეს შესაბამის ტრენინგები.		მხარდაჭერა.
1.6. დაცვის განყოფილების თანამშრომლებისთვის ყოველწლიურად სულ მცირე ერთი 2-დღიანი ტრენინგის ჩატარება ადმინისტრაციული სამართალდარღვევების აღრიცხვისა და ოქმების შედგენის საკითხებზე.	დაცული ტერიტორიის თანამშრომლის რაოდენობა, რომლებსაც ჩაუტარდა ტრენინგი  რეინჯერთა 90 %-მა გაიარა შესაბამისი ტრენინგები.	ტრენინგ მოდულები.  მონაწილეთა სია  ფოტო-დოკუმენტაცია.	სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და დონორის მხარდაჭერა.
1.7. დაცვის განყოფილების თანამშრომლებისთვის ტრენინგების ჩატარება დაკარგულის ძებნის, დამნაშავეს დევნისა და დაკავების, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებისა და პირველადი დახმარების შესახებ.	ყოველი საოპერაციო (3 წელიწადში ერთხელ) ფაზის ციკლში მინიმუმ ერთი 2 დღიანი ტრენინგია ჩატარებული მითითებულ საკითხებზე სულ მცირე 5 თანამშრომლისათვის.  რეინჯერთა 90 %-მა გაიარა შესაბამისი ტრენინგები.	მონაწილეთა სია, ფოტოდოკუმენტაცია.	დონორის მხარდაჭერა.
1.8. კოორდინაციისა და თანამშრომლობის გაუმჯობესება შესაბამის უწყებებთან, მათ შორის სასაზღვრო პოლიციასთან, პოლიციასთან, ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან, გარემოს ზედამხედველობის დეპარტამენტთან, კანონალსრულებასთან დაკავშირებული ქმედებების ეფექტურად განხორციელების მიზნით.	ყოველ 3 თვეში ერთხელ გამართული შეხვედრების რაოდენობა პარტნიორ უწყებებთან.	ერთობლივი ღონისძიებების ამსახველი ფოტომასალა და შეხვედრების ანგარიშები/ოქმები.	
1.9. ჭაჭუნის აღკვეთილის რეინჯერების ჩართვა სხვადასხვა გაცვლით პროგრამებში საქართველოს და საერთაშორისო მასშტაბით.	ჭაჭუნის აღკვეთილის რეინჯერების რაოდენობა, რომლებმაც მიიღეს მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში საქართველოს სხვა დაცულ ტერიტორიებზე, ან უცხოეთში.	ღონისძიებების ამსახველი ანგარიშები და ფოტომასალა.	სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს, დონორის და პარტნიორი ორგანიზაციის მხარდაჭერა.

**მუხლი 42. ბიომრავალფეროვნების ძირითადი ღირებულებებისა და საფრთხეების მონიტორინგი**

1. აღნიშნული პროგრამა უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი ინფორმაციის არსებობას ჭაჭუნის აღკვეთილის ბიომრავალფეროვნების ღირებულებების, კონსერვაციის სტატუსის ცვლილების, საფრთხეების ტენდენციებისა და მენეჯმენტის ღონისძიებების ეფექტურობის შესახებ.

2. აღნიშნული პროგრამის მთვარი მიზანია უზრუნველყოს ჭაჭუნის აღკვეთილის ძირითადი ბიომრავალფეროვნებისა და სხვა ღირებულებების რეგულარული მონიტორინგი და ხელი შეუწყოს ჭაჭუნის აღკვეთილის ძირითადი ღირებულებებისა და საფრთხეების შესახებ უახლესი ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

3. საქართველოს ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ეროვნული სისტემა ვითარდება საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიხედვით (2014-2020). ჭაჭუნის აღკვეთილის ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის მიმდინარე პროგრამა გახდება ამ



სისტემის ნაწილი და სრულად ჩამოყალიბების შემდეგ, ეროვნულ სისტემასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, პერიოდულად, შესაძლებელია დადგეს მისი გადამოწმების საჭიროება.

მიზანი 2: ინფორმაცია ბიომრავალფეროვნების შესახებ ხელმისაწვდომია და განახლებულია ალკვეთილის ადაპტიური მართვის მიზნით.

ინდიკატორი 2.1.: მენეჯმენტის გეგმის განხორციელების მე-9 წელს ხელმისაწვდომია განახლებული ინფორმაცია ჭაჭუნის ალკვეთილის ბიომრავალფეროვნების, მათ შორის ბიომრავალფეროვნების ძირითადი ღირებულებების 90%-ის და საფრთხეების 70 %-ის და განვითარების ტენდენციების შესახებ.

ქმედებები	ინდიკატორი	ინდიკატორის შემოწმების საშუალება	წინაპირობა
2.1. ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის გეგმის შემუშავება და განხორციელება.	2025 წლისთვის შემუშავებულია მონიტორინგის გეგმა;  2026 წლისთვის დანერგულია ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის გეგმა (დაწყებულია მინიმუმ 5 ძირითადი ღირებულების მონიტორინგი).	მონიტორინგის გეგმის დოკუმენტი;  ბიომრავალფეროვნების ძირითადი ღირებულებების მონიტორინგის გეგმა და ანგარიშები;  შესაბამისი ფოტოვიდეო მასალა და რუკები.	დონორების მხარდაჭერა.
2.2. მონაცემთა ბაზის შედგენა ჭაჭუნის ალკვეთილის იდენტიფიცირებული ბიომრავალფეროვნების ძირითადი ღირებულებების, გეოლოგიური წარმონაქმნების, ჰიდროლოგიური ობიექტების შესახებ მდგომარეობის შესახებ.	2023 წლისთვის ხელმისაწვდომია ჭაჭუნის ალკვეთილის იდენტიფიცირებული ბიომრავალფეროვნების ძირითადი ღირებულებების მდგომარეობის მონაცემთა ბაზა.	მონაცემთა ბაზის Excel ან სხვა შესაბამის კომპიუტერულ ფორმატში (სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს რეგულაციების შესაბამისად).	სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს დახმარება.
2.3. მნიშვნელოვანი ჰაბიტატების იდენტიფიცირება/დაზუსტება და მონიტორინგი, მათ შორის: ჭალის ტყის იშვიათი ჰაბიტატების, წითელი ნუსხის სახეობებისა და ზურმუხტის ქსელის ჰაბიტატებისა და სახეობების	2023 წლიდან ჭაჭუნის ალკვეთილის ადმინისტრაციის მონაცემთა ბაზაში ხელმისაწვდომია მნიშვნელოვანი ჰაბიტატების სივრცული მონაცემები (კოორდინატები, რუკები) და მონიტორინგის შედეგები.	მონაცემთა ბაზა.  სტატისტიკური მონაცემები;  სახეობების გავრცელების არეალი (კოორდინატებითა და რუკებით);  მონიტორინგის ანგარიშები.	თანამშრომლობა კვლევით დაწესებულებთან
2.4. ენდემური და საფრთხის ქვეშ მყოფი ფრინველების (ბექობის არწივი, დურაჯი და ფასკუნჯი) მონიტორინგი.	2022 წლიდან, ჭაჭუნის ალკვეთილის ადმინისტრაციის მონაცემთა ბაზაში ხელმისაწვდომია ენდემური და საფრთხის ქვეშ მყოფი ფრინველების შესახებ სივრცული მონაცემები (კოორდინატები, რუკები) და მათი მონიტორინგის შედეგები.	მონაცემთა ბაზა.  მონიტორინგის ანგარიშები.	თანამშრომლობა კვლევით დაწესებულებთან და დონორ ორგანიზაციებთან.
2.5. მტაცებლების (ლელიანის კატა) მონიტორინგი.	2022 წლიდან, ჭაჭუნის ალკვეთილის ადმინისტრაციის მონაცემთა ბაზაში ხელმისაწვდომია ენდემური და საფრთხის ქვეშ მყოფი მტაცებლების შესახებ სივრცული მონაცემები (კოორდინატები, რუკები) და მათი მონიტორინგის შედეგები.	მონაცემთა ბაზა.  მონიტორინგის ანგარიშები.	თანამშრომლობა კვლევით დაწესებულებთან და დონორ ორგანიზაციებთან.
2.6. მენეჯმენტის გეგმის მოქმედების პერიოდის მეორე წლის შემდგომი მონიტორინგის მონაცემების (როგორც მოცემულია 2.1-2.5-ში) ანალიზი და	შემუშავებულია ორი ანალიტიკური ანგარიში და რეკომენდაციების		სსიპ – დაცული



<p>რეკომენდაციების ფორმულირება პრიორიტეტული საქმიანობებისათვის, მეორე და მესამე სამწლიანი საოპერაციო გეგმების მოსამზადებლად.</p>	<p>დოკუმენტი მენეჯმენტის გეგმის ძალაში შესვლიდან 2.5-5,5 წლის შემდეგ და მეორე და მესამე სამწლიანი საოპერაციო გეგმის ფორმულირების დაწყებამდე.</p>	<p>ორი ანალიტიკური ანგარიშის დოკუმენტი.</p>	<p>ტერიტორიების სააგენტოს მხარდაჭერა.</p>
<p>2.7. მეტეოროლოგიური და კლიმატური მონაცემების რეგულარული შეგროვება.</p>	<p>მეტეოროლოგიური და კლიმატური მონაცემები შეგროვებულია რეგულარულად და ყოველწლიურად ასახულია ბუნების მატრიანეში.</p>	<p>დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციის მონაცემების შეგროვების ჟურნალი/მონაცემთა ბაზა.  ბუნების მატრიანეში შესაბამისი თემატური თავი.</p>	<p>თანამშრომლობა სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოსთან</p>
<p>2.8. ინფორმაციის შეგროვება არასისტემური ბუნებრივი მოვლენებისა და მათ მიერ მიყენებული ზარალის შესახებ.</p>	<p>რეგულარულად გროვდება მონაცემები არასისტემური ბუნებრივი მოვლენების შესახებ და ყოველწლიურად ასახულია ბუნების მატრიანეში.</p>	<p>დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციის მონაცემების შეგროვების ჟურნალი/მონაცემთა ბაზა.  ბუნების მატრიანეში შესაბამისი თემატური თავი.</p>	<p>თანამშრომლობა სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოსთან, ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან და 112-თან.</p>
<p>2.9. ჭაჭუნის ადკვეთილის ტერიტორიებზე და მის მიმდებარედ ადგილობრივ მოსახლეობასა და მტაცებელ ცხოველებს შორის კონფლიქტის შესწავლა, შემარბილებელი ღონისძიებების გეგმის შემუშავება-განხორციელება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.</p>	<p>მოსახლეობასა და მტაცებელ ცხოველებს შორის კონფლიქტის წლიური დინამიკა;  2023 წლისთვის მომზადებულია ადკვეთილის ტერიტორიებზე და მის მიმდებარედ ადგილობრივი მოსახლეობასა და მტაცებელ ცხოველებს შორის კონფლიქტის კვლევის ანგარიში.</p>	<p>კვლევის ანგარიში და შემარბილებელი ღონისძიებების გეგმის დოკუმენტი.  დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციის მონაცემთა ბაზაში ასახული კონფლიქტის რაოდენობრივი მონაცემები.</p>	<p>ადგილობრივი მოსახლეობისა და გარე თემატური ორგანიზაციების ან ექსპერტების ჩართვა.</p>

**მიზანი 3: 2031 წლისთვის, პრიორიტეტული საბაზისო კვლევები განხორციელებულია/მხარდაჭერილია შესაბამის დაინტერესებულ სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებთან/მკვლევებთან თანამშრომლობით.**

**ინდიკატორი 3.1: 2031 წლისთვის, სამეცნიერო ინფორმაციის დეფიციტის მინიმუმ 50% შეესებულება.**

ქმედებები	ინდიკატორები	ინდიკატორის შემოწმების საშუალებები	წინაპირობა
<p>3.1. ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის თვალსაზრისით პრიორიტეტული კვლევითი მიმართულებების განსაზღვრა და სულ მცირე 2 პრიორიტეტული კვლევითი პროექტის განხორციელება.</p>	<p>2023 წლისთვის შემუშავებულია მაღალპრიორიტეტული კვლევითი პროექტების ჩამონათვალი, სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან შეთანხმებით.  2031 წლამდე განხორციელებული პრიორიტეტული კვლევითი პროექტების რაოდენობა.</p>	<p>მაღალპრიორიტეტული კვლევითი პროექტების ჩამონათვალის დოკუმენტი;  ბუნების მატრიანე;  კვლევის ანგარიში.</p>	<p>თანამშრომლობა კვლევით და დონორ ორგანიზაციებთან და ექსპერტებთან.</p>



3.2. ბერნის კონვენციით დაცული სახეობებისა და ჰაბიტატების ეტაპობრივი შესწავლა.	2025 წლისთვის ხელმისაწვდომია მონაცემები ბერნის კონვენციით დაცული სახეობებისა და ჰაბიტატების შესახებ.	ბუნების მატანე, სახეობების კვლევის ანგარიში და მონაცემთა ბაზა.	თანამშრომლობა კვლევით ორგანიზაციებთან და ექსპერტებთან.
---	--	--	--

**მიზანი 4. 2030 წლისთვის, ჭაჭუნის ალკვეთილის ადმინისტრაციის თანამშრომლების ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ცოდნა და უნარები გაუმჯობესებულია.**

**ინდიკატორი 4.1: 2030 წლისთვის, ჭაჭუნის ალკვეთილის ადმინისტრაციის აქვს შესაძლებლობები და უნარები, რათა განახორციელოს ბიომრავალფეროვნების ფასეულობების და საფრთხეების ინდიკატორების და მართვის ქმედებების მონიტორინგი.**

ქმედებები	ინდიკატორები	ინდიკატორის შემოწმების საშუალებები	წინაპირობა
4.1. მონაცემთა შეგროვების მიმართულებით ჭაჭუნის ალკვეთილის შესაბამისი პერსონალის შესაძლებლობების გაძლიერება სულ მცირე 1-ერთდღიანი ტრენინგის გამართვის გზით, ბიომრავალფეროვნების ძირითადი ღირებულებებისა და საფრთხეების სტატუსის მონიტორინგისა და საჭირო აღჭურვილობის გამოყენებით.	<p>ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის საკითხებზე ყოველი საოპერაციო ფაზის განმავლობაში გამართული ტრენინგების რაოდენობა;</p> <p>2026 წლისთვის რეინჯერებისა და სხვა პერსონალის რაოდენობა/წილი, რომელთაც გავლილი აქვთ თეორიული და პრაქტიკული ტრენინგები ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის საკითხებზე.</p>	<p>ჩატარებული ტრენინგების მასალები (მონაწილეთა სიები, ფოტომასალა);</p> <p>სასწავლო მოდულები.</p>	სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს, დონორის/პარტნიორის მხარდაჭერა.
4.2. ტრენინგის ჩატარება ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის, „ზურმუხტის ქსელის“ საიტების მნიშვნელოვანი სახეობების და ჰაბიტატების მონიტორინგის საკითხებზე.	<p>ჩატარებულია მინიმუმ ერთი 1-დღიანი ტრენინგი რეგულარულად, ყოველი საოპერაციო ფაზის ციკლში.</p> <p>2026 წლისთვის რეინჯერებს და სხვა პერსონალის 90%-ს გავლილი აქვს თეორიული და პრაქტიკული ტრენინგები, „ზურმუხტის ქსელის“ საიტების მნიშვნელოვანი სახეობებისა და ჰაბიტატების მონიტორინგის საკითხებზე.</p>	ტრენინგის მასალები, მონაწილეთა სია, შეფასების ფორმები ფოტო დოკუმენტაცია.	დონორის მხარდაჭერა.
4.3. შესაბამისი ადმინისტრაციული პერსონალის უზრუნველყოფა ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის აქტივობების განხორციელებისათვის საჭირო აღჭურვილობებითა და სახარჯი/საველე მასალებით.	2023 წლიდან ჭაჭუნის ალკვეთილის ადმინისტრაციისათვის ხელმისაწვდომია საჭირო აღჭურვილობა და სახარჯი/საველე მასალები.	ადმინისტრაციის ქონების საინვენტარიზაციო აღწერილობის მონაცემები.	სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს და დონორის მხარდაჭერა.

### მუხლი 43. ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების პროგრამა

ჭაჭუნის ალკვეთილის მართვა მიზნად ისახავს ბიომრავალფეროვნების ყველა ძირითადი ღირებულების კონსერვაციას და ამავდროულად უზრუნველყოფს ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ბუნებრივი რესურსების მდგრად, სამართლიან და თანაბარ გამოყენებას კანონმდებლობის გათვალისწინებით. ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების პროგრამა მიზნად ისახავს დააკმაყოფილოს ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნები და ამავდროულად დაარეგულიროს საძოვრების და წყლის რესურსების მართვის საკითხები.

**მიზანი 5. ჭაჭუნის ალკვეთილის ბუნებრივი რესურსების მდგრადად გამოყენება უზრუნველყოფილია.**





ინდიკატორი 5.1: მენეჯმენტის გეგმის განხორციელების დასასრულისთვის, სულ მცირე, არ იზრდება დეგრადირებული სამოვრების ფართობი და არ მცირდება ტყის ფართობი 2022 წლის მაჩვენებლებთან შედარებით.

ქმედებები	ინდიკატორები	ინდიკატორის შემოწმების საშუალებები	წინაპირობა
5.1. ტყეების აღრიცხვა და ტყის მართვის გეგმის მომზადება.	2023 წლისთვის ჩატარებულია ტყეების აღრიცხვა და მომზადებულია ტყის მართვის გეგმა.	ტყის მართვის გეგმის დოკუმენტი.	დონორის მხარდაჭერა.  თანამშრომლობა კვლევით ორგანიზაციებთან და ექსპერტებთან.
5.2. საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული მერქნიანი სახეობების მდგომარეობის შესწავლა.	შესწავლილი „წითელი ნუსხით“ დაცული მერქნიანი მცენარეების გავრცელების ადგილები და სახეობების რაოდენობა.	საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული მერქნიანი სახეობების გავრცელების რუკა.	დონორის მხარდაჭერა.  თანამშრომლობა კვლევით ორგანიზაციებთან და ექსპერტებთან.
5.3. სამოვრების ჰაბიტატების და ბიომრავალფეროვნების შეფასების და მათი დაცვის ღონისძიებების გათვალისწინებით 2023 წლისთვის სამოვრების მართვის გეგმის განახლება და მის მიხედვით სამოვრების მართვა.	განახლებული ჭაჭუნის ალკვეთილის სამოვრების მართვის გეგმა, რომლის მიხედვითაც შემუშავებულია საიჯარო ხელშეკრულებები, დგინდება მოვების ნორმები პირუტყვის სიმჭიდროვე და ა.შ.	სამოვრების მართვის გეგმა.  საიჯარო ხელშეკრულებების ასლები.	დონორის მხარდაჭერა.  თანამშრომლობა კვლევით ორგანიზაციებთან და ექსპერტებთან.
5.4. 2023 წლისთვის ჭაჭუნის ალკვეთილის სამოვრების შესახებ მონაცემთა ბაზის შედგენა.	მომზადებულია ჭაჭუნის ალკვეთილის სამოვრების კომპიუტერული მონაცემთა ბაზა.	სამოვრების შესახებ კომპიუტერულ მონაცემთა ბაზის ფაილი.	დონორის მხარდაჭერა;  თანამშრომლობა კვლევით ორგანიზაციებთან და ექსპერტებთან.
5.5. თანამშრომლობა ალკვეთილის ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების მიზნით, ადგილობრივ მოსახლეობასა და მუნიციპალურ ხელისუფლებასთან.	ბუნებრივი რესურსების მართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში თანამშრომლობის წილი, სადაც ადგილობრივი დაინტერესებული მხარეები მონაწილეობდა.	ჭაჭუნის ალკვეთილის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებების ოქმი ბუნებრივი რესურსების მართვის შესახებ, ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების ჩართულობით.	
5.6. ჭაჭუნის ალკვეთილში მდ. იორიდან წყალაღების საქმიანობების შეფასება და რეგულირება.	2023 წლისთვის შესწავლილი და შეფასებულია წყალაღების საჭიროებები და საქმიანობები.	წყალმომხმარების და წყალაღების კვლევის მასალები 2023 წლამდე;  წყალაღების გეგმა 2024 წლიდან.	დონორის მხარდაჭერა;  თანამშრომლობა კვლევით ორგანიზაციებთან და ექსპერტებთან.

#### მუხლი 44. საგანგებო სიტუაციების, მავნებელი მწერების, სოკოებისა და დაავადებების მენეჯმენტის პროგრამა

აღნიშნული პროგრამა მიმართულია საგანგებო სიტუაციებით გამოწვეული (ანთროპოგენური და ბუნებრივი) საფრთხეებისა და ჭაჭუნის ალკვეთილის ძირითადი ღირებულებებისადმი დაავადებებითა და მავნებლებით მიყენებული ზიანის მართვის, თავიდან აცილებისა და რეაგირებისაკენ.



**მიზანი 6: საგანგებო სიტუაციებით, მავნებლებითა და დაავადებებით გამოწვეული ზიანი შემცირებულია.**

**ინდიკატორი 6.1:** მენეჯმენტის გეგმის განხორციელების მე-9 წლის დასასრულს, მენეჯმენტის გეგმის განხორციელების პირველ წელთან შედარებით, 50%-ით შემცირდა საგანგებო სიტუაციებით, მავნებლებითა და დაავადებებით გამოწვეული ზიანი.

ქმედებები	ინდიკატორები	ინდიკატორის შემოწმების საშუალება	წინაპირობა
6.1. ადგილობრივ ფერმერებთან მუშაობა და ტრენინგების ჩატარება, საგანგებო მართვის მართვისა და პრევენციის საკითხების შესახებ.	ადმინისტრაციის თანამშრომლების რაოდენობა და მიმდებარე ფერმერებისა და მწყემსების რაოდენობა, რომლებიც მონაწილეობდნენ ხანძარსაწინააღმდეგო უნარ-ჩვევებში, საგანგებო სიტუაციების პრევენციასა და სამაშველო ღონისძიებებსა და ტრენინგებში.	ტრენინგის მასალები, მონაწილეთა სია, შეფასების ფორმები, ფოტოდოკუმენტაცია.	დონორის მხარდაჭერა.  თანამშრომლობა გარემოსდაცვით ორგანიზაციებთან და ექსპერტებთან.
6.2. ფიტოპათოლოგიური კვლევების სულ მცირე წელიწადში ერთხელ განხორციელება. ტყის მავნებლებზე რეგულარული დაკვირვება, ტყის მავნებელი მწერების, სოკოებისა და დაავადებების გავრცელების კერების იდენტიფიცირება და არსებობის შემთხვევაში მართვის გეგმის შემუშავება.	ჭაჭუნის ადკვეთილის ფიტოპათოლოგიური სკრინინგის (შეფასდება ტყის მავნებლებისა და დაავადებების კერების არსებობა) ყოველწლიური დინამიკა	ფიტოპათოლოგიური ანგარიში.  დაავადებებისა და მავნებლების მართვის გეგმა.	დონორის მხარდაჭერა.  თანამშრომლობა კვლევით ორგანიზაციებთან და ექსპერტებთან.
6.3. ტყის მავნებლებთან ბრძოლის შესაბამისი ღონისძიებების ინიცირება და განხორციელება, საჭიროების შემთხვევაში.	ყოველწლიურად შემუშავებულია ტყის მავნებელთა ნუსხა და განხორციელებულ საკონტროლო ღონისძიებათა რიცხვი.	ტყის მავნებლებზე დაკვირვების ამსახველი ანგარიში.  ჩატარებული ღონისძიებების ანგარიში.	დონორის მხარდაჭერა.  თანამშრომლობა კვლევით ორგანიზაციებთან და ექსპერტებთან.
6.4. 2022 წლიდან მინიმუმ ერთი ტრენინგის გამართვა ფიტოპათოლოგიური კვლევის საკითხებზე, ადმინისტრაციის თანამშრომელთათვის.	ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა ყოველი საოპერაციო ფაზის ციკლში.	ტრენინგის მასალები, მონაწილეთა სია, შეფასების ფორმები, ფოტოდოკუმენტაცია.	დონორის მხარდაჭერა.  თანამშრომლობა კვლევით ორგანიზაციებთან და ექსპერტებთან.

**მუხლი 45. ეკოტურიზმისა და ვიზიტორთა მართვის პროგრამა**

ეკოტურიზმის პროგრამა მიმართულია ჭაჭუნის ადკვეთილში ეკოტურიზმის შექმნისა და განვითარებისათვის არსებული პოტენციალისა და შესაძლებლობების გააძლიერებისაკენ.

**მიზანი 7.** ჭაჭუნის ადკვეთილში განვითარებულია ინფრასტრუქტურა, სერვისები და ეკო-ტურისტული პროდუქტები, რომლებიც ხელს უწყობენ ჭაჭუნის ადკვეთილის ეკოტურიზმის პოტენციალის გამოვლენას და გამოყენებას ეკოლოგიური მთლიანობის ხელყოფის გარეშე.

**ინდიკატორი 7.1:** მენეჯმენტის გეგმის განხორციელების მე-9 წლისთვის ჭაჭუნის ადკვეთილის ეკო-ტურისტული ინფრასტრუქტურა სრულად დაგეგმილია და მისი 50%-ზე მეტი მოწყობილია. ამავედროულად, ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებული საფრთხეები არ იზრდება.

ქმედებები	ინდიკატორები	ინდიკატორის შემოწმების საშუალებები	წინაპირობა
7.1. მარკირების, ბილიკების ნიშნულებისა და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარების სულ მცირე 10 საპროექტო წინადადებების შემუშავება.	საპროექტო წინადადების რაოდენობა, რომლებიც შემუშავებულია ბილიკების მარკირების, ნიშნულებისა და სხვა ინფრასტრუქტურის განვითარების შესახებ.	ბილიკების მარკირების, ნიშნულებისა და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურის შესახებ საპროექტო წინადადებების დოკუმენტები.	სსიპ — დაცული ტერიტორიების სააგენტოს და  დონორის/პარტნიორის მხარდაჭერა.
7.2. ადგილობრივი ისტორიულ-კულტურული და არქეოლოგიური ძეგლების ინტეგრაციის	2023 წლამდე ჭაჭუნის ადკვეთილის სულ მცირე 1 ტურისტული პროდუქტში ინტეგრირებულია იქ	ტურისტული პროდუქტების	თანამშრომლობა ადგილობრივი



ხელშეწყობა ტურისტულ პროდუქტში.	არსებული ისტორიულ - კულტურული ფასეულობა.	აღწერილობა.	ხელისუფლების ტურიზმის სამსახურთან.
7.3. ადგილობრივ, რეგიონულ და ცენტრალურ სტრუქტურებთან თანამშრომლობა, კომუნიკაცია და კოორდინაცია ეკოტურიზმის და აგროტურიზმის განვითარების საკითხებზე.	ეკოტურიზმის განვითარების შესახებ ყოველწლიურად ჩატარებულია სულ მცირე 3 შეხვედრა ადგილობრივ სტრუქტურებთან, სულ მცირე 2 შეხვედრა რეგიონულ სტრუქტურებთან და სულ მცირე 1 შეხვედრა ცენტრალურ სტრუქტურებთან.	შეხვედრების ოქმები, მონაწილეთა სია ფოტომასალა.	სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს ჩართულობა.
7.4. ფრინველებზე დასაკვირვებლად ინფრასტრუქტურის მოწყობა/რეაბილიტაცია.	2025 წლისთვის მოწყობილია 2 დასაკვირვებელი ქოხი/სამალავი და ფრინველებზე დაკვირვების ბილიკი, რეაბილიტირებულია ფრინველებზე დაკვირვების არსებული კომპლექსი.	დასაკვირვებელი ქოხი/სამალავის, რეაბილიტირებული კომპლექსის, მოწყობილი ბილიკის საპროექტო ნახაზები და ფოტომასალა.	დონორის მხარდაჭერა.
7.5. დაცული ტერიტორიისთვის შემოსავლების გენერირების მიზნით, ფრინველებზე დაკვირვების პროგრამებისა და საინფორმაციო-საექსკურსიო ტურების მომზადება.	2025 წლისთვის მომზადებულია სულ მცირე 1 ტური და 1 საინფორმაციო-საექსკურსიო პროგრამა.	ფრინველებზე დაკვირვების პროგრამებისა და საინფორმაციო-საექსკურსიო ტურის პროგრამა.	დონორის მხარდაჭერა;  კერძო სექტორთან თანამშრომლობა.
7.6. არსებული ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობის გეგმის შემუშავება და განხორციელება.	2024 წლამდე შემუშავებულია და ხორციელდება ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობის გეგმა.	მოვლა-პატრონობის გეგმის დოკუმენტი;  განხორციელებული ქმედებების ანგარიშები.	სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს და დონორის მხარდაჭერა.

**მიზანი 8. ჭაჭუნის ადკვეთილი, ეკოტურისტული თვალსაზრისით, წარმოადგენს ცნობად ტურისტულ ადგილს ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე.**

**ინდიკატორი 8.1: მენეჯმენტის გეგმის განხორციელების მე-9 წელს, ადგილობრივ და საერთაშორისო ვიზიტორთა რაოდენობა და მათი კმაყოფილება გაზრდილია მინიმუმ 50%-ით, მენეჯმენტის გეგმის განხორციელების პირველ წელთან შედარებით.**

ქმედებები	ინდიკატორები	ინდიკატორის შემოწმების საშუალებები	წინაპირობა
8.1. ჭაჭუნის ადკვეთილის პოპულარიზაციისთვის, ბუნებრივი და ისტორიული მემკვიდრეობის შესახებ სხვადასხვა სარეკლამო მასალების მომზადება.	2024 წლისთვის შექმნილია ტურების და ბილიკების 5 თემატური ფლაერი, გამოცემულია 1 მეგზური, გამოცემულია 1: 25.000 მასშტაბის რუკა, GPS ტრეკები განთავსებულია სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს ვებ-გვერდზე.  ყოველწლიურად დაბეჭდილია 1000 საფოსტო ბარათი.	რუკები, ბარათები, მეგზური.	სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს ჩართულობა.  დონორის მხარდაჭერა.
8.2. ჭაჭუნის ადკვეთილის პოპულარიზაცია ელექტრონული საშუალებებითა და სოციალური მედიის გამოყენებით.	ყოველწლიურად გავრცელებულია მინიმუმ 10 სიახლე ჭაჭუნის ადკვეთილის ფეისბუქ გვერდის, მუნიციპალიტეტისა და სხვა, შესაბამისი ვებ-გვერდებისა და სოციალური მედიის საშუალებით.	ფეისბუქ სიახლეები და ფეისბუქზე ვიზიტების სტატისტიკა.	სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს შესაბამისი სამსახურის მხარდაჭერა.
	წელიწადში მინიმუმ ორჯერ	წერილების ასლები.	



<p>8.3. ტუროპერატორებთან კომუნიკაცია, სხვადასხვა პროდუქტებისა და სერვისების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით.</p>	<p>(გაზაფხულსა და შემოდგომაზე) ტუროპერატორებთან რეგულარულად იგზავნება ელექტრონული სიახლეები.</p>	<p>ელექტრონული კომუნიკაციების აღრიცხვის ჟურნალი.</p>	
<p>8.4. ჭაჭუნის ალკვეთილის პოპულარიზაცია სხვადასხვა მედია საშუალებებით.</p>	<p>სულ მცირე ორ წელიწადში ერთი მედიატურია ორგანიზებული ეროვნული მედიის წარმომადგენლებისათვის</p> <p>სულ მცირე 2 სტატია ქვეყნდება ყოველწლიურად ჭაჭუნის ალკვეთილის ბუნებრივი ღირებულებების შესახებ ეროვნულ სოციალურ მედიაში.</p> <p>სულ მცირე ერთი სარეკლამო კამპანია წარმოებს ორ წელიწადში ერთხელ.</p>	<p>რეკლამები.</p> <p>ვიდეო რგოლები.</p> <p>სტატიები/სატელევიზიო პროგრამებში გაშუქება.</p>	<p>სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს მხარდაჭერა.</p> <p>დონორის მხარდაჭერა.</p>

**მიზანი 9. 2030 წლისთვის, ჭაჭუნის ალკვეთილში ვიზიტორთა მართვა ხორციელდება ტერიტორიის ეკოლოგიური მთლიანობის და კონსერვაციული ფასეულობების ხელყოფის გარეშე.**

**ინდიკატორი 9.1.: 2029 წლისთვის, ჭაჭუნის ალკვეთილში, 2022 წელთან შედარებით არ არის გაზრდილი კონსერვაციული ფასეულობების ხელყოფის შემთხვევები ვიზიტორთა მიერ.**

ქმედებები	ინდიკატორები	ინდიკატორის შემოწმების საშუალებები	წინაპირობა
<p>9.1. ჭაჭუნის ალკვეთილის ვიზიტორთა გამტარუნარიანობის შეფასება.</p>	<p>2025 წლისთვის შეფასებულია ალკვეთილის ვიზიტორთა გამტარუნარიანობა.</p>	<p>შეფასების დოკუმენტი.</p>	<p>დონორის მხარდაჭერა.</p>
<p>9.2. ჭაჭუნას ალკვეთილის ადმინისტრაციისთვის ვიზიტორთა მართვის გეგმის შემუშავება.</p>	<p>2025 წლისთვის შემუშავებულია ვიზიტორთა მართვის გეგმა.</p>	<p>ვიზიტორთა მართვის გეგმის დოკუმენტი.</p>	<p>სსიპ დონორის მხარდაჭერა.</p> <p>ექსპერტებთან თანამშრომლობა.</p>
<p>9.3. ჭაჭუნის ალკვეთილის ადმინისტრაციის თანამშრომლებისათვის (ვიზიტორთა მომსახურების, ბუნებრივი რესურსების სპეციალისტებისთვის, რეინჯერებისთვის) ტურიზმის, ვიზიტორთა მართვის, ბილიკების მარკირების საკითხებზე ტრენინგების ჩატარება.</p>	<p>სულ მცირე 6 ტრენინგის სესია.</p>	<p>ტრენინგის მასალები.</p>	<p>დამატებითი დაფინანსება.</p>

**მუხლი 46. გარემოსდაცვითი განათლების პროგრამა**

გარემოსდაცვითი განათლების პროგრამის მიზანია, ხელი შეუწყოს ბუნებრივი რესურსებისა და კულტურული ღირებულებების დაცვას ჭაჭუნის ალკვეთილში, სხვადასხვა სამიზნე ჯგუფზე (სკოლის



მოსწავლეები, სტუდენტები, ადგილობრივი მოსახლეობა/ფერმერები, დაცული ტერიტორიების ვიზიტორები და სხვა) მიმართული საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებელი საქმიანობისა და ეკოსაგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელების მეშვეობით.

**მიზანი 10. დაინტერესებული მხარეების ცნობიერება ჭაჭუნის ალკვეთილის როლის, მნიშვნელობისა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვის შესახებ ამაღლებულია.**

**ინდიკატორი 10.1: 2031 წლისთვის დაინტერესებული მხარეების – მათ შორის ადგილობრივი მოსახლეობა, სკოლის მოსწავლეები და სტუდენტები, ფერმერები, ზიზნესი და დაცული ტერიტორიების ვიზიტორების – ჩართულობა გარემოსდაცვით საგანმანათლებლო კამპანიებში გაზრდილია 10-15%-ით 2022 წელთან შედარებით.**

ქმედებები	ინდიკატორები	ინდიკატორის შემოწმების საშუალებები	წინაპირობა
10.1. საოპერაციო გეგმით გათვალისწინებული ეკოსაგანმანათლებლო აქტივობების განხორციელება.	გეგმაში გაწერილი ქმედებების მინიმუმ 80% შესრულებულია პირველი 3-წლიანი საოპერაციო ფაზის დასასრულს.	ჩატარებული ღონისძიებების დამადასტურებელი მასალები: ანგარიში, მონაწილეთა სიები, ფოტომასალა.	სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს მხარდაჭერა.
10.2. სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფებზე გათვლილი ეკოსაგანმანათლებლო პროგრამების მომზადება და განხორციელება.	მომზადებული და დანერგილია მინიმუმ 4 ეკოსაგანმანათლებლო პროგრამა.	ეკოსაგანმანათლებლო პროგრამები.	სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს მხარდაჭერა.  დონორების მხარდაჭერა.  ექსპერტების ჩართულობა.
10.3. ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციასთან ერთად ნორჩი რეინჯერის პროგრამის დანერგვა.	2023 წლამდე მომზადებული და ინიცირებულია ნორჩი რეინჯერების პროგრამა;  2023 წლამდე ჩამოყალიბებულია ნორჩი რეინჯერების ჯგუფები.	ნორჩი რეინჯერების პროგრამის დოკუმენტი.  ნორჩი რეინჯერების ჯგუფების წევრების სიები.	დონორების მხარდაჭერა.  ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციასთან თანამშრომლობა.
10.4. გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების ჩატარება მწვანე კალენდრის მიხედვით.	ყოველწლიურად ჩატარებულია მინიმუმ 5 გარემოსდაცვითი ღონისძიება ჭაჭუნის ალკვეთილის ადმინისტრაციის ინიციატივით.	ჩატარებული ღონისძიებების შესახებ ანგარიშები.  ფოტომასალა.	სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს მხარდაჭერა.
10.5. ეკოტურების მოწყობაში სკოლის მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის ხელის შეწყობა.	ყოველწლიურად ჭაჭუნის ალკვეთილში სკოლის მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის ჩატარებულია მინიმუმ 1 ეკოტური.	ჩატარებული ეკოტურების შესახებ ანგარიშები.  ფოტომასალა.	
10.6. ეკოკლუბების ჩამოყალიბება და მხარდაჭერა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლების სკოლებში, ვაშლოვანის მეგობართა ასოციაციასთან და სკოლებთან თანამშრომლობით.	2031 წლამდე ჩამოყალიბებულია მინიმუმ 5 ეკოკლუბი, რომელიც თანამშრომლობს ჭაჭუნის ალკვეთილის ადმინისტრაციასთან.  ეკოკლუბების მიერ ყოველწლიურად ხორციელდება მინიმუმ 3 აქტივობა ჭაჭუნის ალკვეთილის ადმინისტრაციასთან ერთად.	შექმნილი ეკოკლუბების სია და საკონტაქტო ინფორმაცია.  ეკოკლუბების მიერ ჭაჭუნის ალკვეთილის ადმინისტრაციასთან ერთად განხორციელებული აქტივობების ანგარიშები და ფოტომასალა.	ვაშლოვანის მეგობართა ასოციაციის მხარდაჭერა.

#### მუხლი 47. საზოგადოებასთან ურთიერთობის პროგრამა

საზოგადოებასთან ურთიერთობის პროგრამის მიზანია დაცულ ტერიტორიებთან მიმართებით ჭაჭუნის ალკვეთილის ცნობადობისა და საზოგადოების ცნობიერების გაზრდა და სხვადასხვა



**დაინტერესებულ მხარეებთან დადებითი კომუნიკაციის ჩამოყალიბების ხელშეწყობა.**

**მიზანი 11. ჭაჭუნის ალკვეთილი ცნობადი და საინტერესო ფართო საზოგადოებაში.**

**ინდიკატორი 11.1.: მენეჯმენტის გეგმის განხორციელების მე-9 წელს ჭაჭუნის ალკვეთილის ცნობადობისთვის ჩატარებული სხვადასხვა ღონისძიებებისა და აქტივობების წლიური რაოდენობა გაორმაგდა, 2022 წელთან შედარებით.**

ქმედებები	ინდიკატორები	ინდიკატორის შემოწმების საშუალებები	წინაპირობა
11.1. კომუნიკაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება.	2023 წლისთვის შემუშავებულია კომუნიკაციის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2024-2029 წლებისთვის.	სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის დოკუმენტი.	სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს და დონორის/პარტნიორების დახმარება.
11.2. საინფორმაციო, საკომუნიკაციო მასალების (ბუკლეტები, პოსტერები, კალენდრები, ვიდეორგოლები, რეკლამები, პრეზენტაციები, ა.შ.) მომზადება დაცული ტერიტორიებისა და სხვა თემატიკაზე.	2030 წლამდე მომზადებული და გავრცელებულია სულ მცირე 5 სახეობის საინფორმაციო/საკომუნიკაციო მასალა.	ბეჭდური მასალა. ვიდეომასალა.	სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს ჩართულობა, დონორების დახმარება, გარე ექსპერტების ჩართვა, პარტნიორებთან თანამშრომლობა.
11.3. რეგიონში გამართულ სხვადასხვა სახალხო ღონისძიებებსა და დღესასწაულებში მონაწილეობა.	ყოველწლიურად 1 ღონისძიებაში მონაწილეობა.	ღონისძიების შესახებ ანგარიში, ღონისძიებაზე წარმოდგენილი ინფორმაცია ჭაჭუნის ალკვეთილის შესახებ, ფოტომასალა.	სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს მხარდაჭერა.

**მიზანი 12. დამყარებულია ახალი და გაუმჯობესებულია უკვე არსებული თანამშრომლობა სამთავრობო უწყებებთან, დონორებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან.**

**ინდიკატორი 12.1.: პარტნიორებთან ერთად განხორციელებული ღონისძიებების, აქტივობებისა და პროექტების რაოდენობა გაზრდილია 50%-ით მენეჯმენტის გეგმის განხორციელების მე-9 წლისთვის, 2020 წელთან შედარებით.**

ქმედებები	ინდიკატორები	ინდიკატორის შემოწმების საშუალებები	წინაპირობა
12.1. თანამშრომლობა ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან, ვაშლოვანის მეგობართა ასოციაციასთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და დონორებთან, ჭაჭუნის ალკვეთილში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ფერმერული მეურნეობების განვითარების მიზნით.	2025 წლისთვის ერთობლივად განხორციელებული ღონისძიებებისა და მომზადებული დოკუმენტების რაოდენობა.	პარტნიორებთან ერთად განხორციელებული ღონისძიებების შესახებ მომზადებული ანგარიშები, მონაწილეთა სია, ფოტომასალა.  პარტნიორებთან ერთად მომზადებული თემატური დოკუმენტები.	სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს დახმარება.  დონორის მხარდაჭერა.
12.2 რეგულარული შეხვედრების მოწყობა სხვადასხვა სამთავრობო უწყებებთან (ადგილობრივი მუნიციპალიტეტი, განათლების, მეცნიერების სამინისტრო, ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი).	ყოველწლიურად ტარდება სულ მცირე 2 შეხვედრა პარტნიორ უწყებებთან.	შეხვედრების ოქმები, მონაწილეთა სიები, ფოტომასალა.	სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს დახმარება.
12.3. ადგილობრივი მნიშვნელობის ღონისძიებების, აქტივობებისა და გარემოსდაცვითი კამპანიების მოწყობა და/ან მათში მონაწილეობის მიღება.	ჭაჭუნის ალკვეთილის ადმინისტრაცია ყოველწლიურად მონაწილეობს სულ მცირე 2 ღონისძიებაში, ან კამპანიაში, რომელიც ორგანიზებულია ჭაჭუნის	შეხვედრების ოქმები, მონაწილეთა სიები, ფოტომასალა.	სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს დახმარება.



მიზანი 13. გაუმჯობესებულია ადგილობრივ მოსახლეობასა და ფერმერებთან თანამშრომლობა და გაზრდილია მათი ჩართულობა ჭაჭუნის აღკვეთილის მართვაში.

ინდიკატორი 13.1: მენეჯმენტის გეგმის განხორციელების მე-9 წელს ადგილობრივი საზოგადოების დამოკიდებულება, მოსახლეობის აღქმისა და ცნობიერების კვლევის მიხედვით, 2020 წელთან შედარებით გაუმჯობესებულია სულ მცირე 50%-ით.

ქმედებები	ინდიკატორები	ინდიკატორის შემოწმების საშუალებები	წინაპირობა
13.1. გაცნობითი და განმარტებითი შეხვედრების ორგანიზება ადგილობრივ მოსახლეობასთან და აღკვეთილის რესურსებით მოსარგებლებთან დაცული ტერიტორიების ფუნქციების, დაშვებული და აკრძალული ქმედებების გაცნობის მიზნით.	ტარდება სულ მცირე 20 შეხვედრა მოსახლეობასთან და რესურსით მოსარგებლებთან.	შეხვედრების ოქმები, მონაწილეთა სია, ფოტომასალა.	
13.2. ინფორმირების მიზნით რეგულარული შეხვედრების მოწყობა ადგილობრივ ფერმერებთან მიმდინარე სიახლეების, თანამშრომლობის შესაძლებლობებისა და დაგეგმილი პროექტების შესახებ, მათი ჩართვა გადაწყვეტილების მიღებისა და პროექტების განხორციელების პროცესში.	ყოველ კვარტალში სულ მცირე 2 შეხვედრა ტარდება დაინტერესებულ მხარეებთან.	შეხვედრის ოქმები, მონაწილეთა სია, ფოტომასალა.	
13.3. სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება სპეციალური კითხვარის საშუალებით. ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულებისა და სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის მონიტორინგის განხორციელება.	ყოველ საოპერაციო ფაზაში ერთხელ ხორციელდება ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულების სოციო-ეკონომიკური მონიტორინგი.	სოციო-ეკონომიკური შეფასების გამოკითხვის შედეგების ანგარიში.	
13.4. ფერმერებთან კომუნიკაცია და თანამშრომლობა სამოვრებისა და ტყის რესურსების მდგრადი მართვის საკითხებზე.	ყოველწლიურად სულ მცირე ოთხი შეხვედრა ტარდება დაინტერესებულ მხარეებთან (მწყემსებთან, ტურიზმის ბიზნესის წარმომადგენლებთან და ა.შ.) სამოვრებისა და ტყის რესურსების მდგრადი მართვის საკითხებზე.	შეხვედრის ოქმები, მონაწილეთა სია, ფოტომასალა.	

#### მუხლი 48. ჭაჭუნის აღკვეთილის ადმინისტრაციის შესაძლებლობების გაძლიერების პროგრამა

აღნიშნული პროგრამის მიზანია ჭაჭუნის აღკვეთილის ადმინისტრაციის ინსტიტუციური საფუძვლებისა და შესაძლებლობების შექმნა-გაძლიერება. პროგრამა ძირითადად ორიენტირებულია საკმარისი ფინანსური რესურსების მოზიდვასა და ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, ადმინისტრაციის თანამშრომლების შესაბამისი უნარ-ჩვევების გაძლიერებასა და ცოდნის განმტკიცებაზე, მენეჯმენტის გეგმის პროგრამების ეფექტურად განხორციელების მიზნით.

მიზანი 14. მენეჯმენტის გეგმის განხორციელებისთვის უზრუნველყოფილია საკმარისი და მდგრადი დაფინანსება.

ინდიკატორი 14.1: მენეჯმენტის გეგმის განხორციელების მე-9 წელს, ჭაჭუნის აღკვეთილის ადმინისტრაციის თვითშეფასების მიხედვით, ადმინისტრაციას გააჩნია საკმარისი და მდგრადი ფინანსური რესურსი.

ქმედებები	ინდიკატორები	ინდიკატორის შემოწმების საშუალებები	წინაპირობა
-----------	--------------	------------------------------------	------------



<p>14.1. მენეჯმენტის გეგმის შესრულებისათვის საჭირო ფინანსური საჭიროებების შეფასება და პრიორიტეტული დაფინანსების მიმართულებების განსაზღვრა.</p>	<p>ყოველწლიურად ხდება საჭიროებებისა და დაფინანსების ნაკლოვანებების შეფასება ჭაჭუნის აღკვეთლის ადმინისტრაციის მიერ.</p> <p>საოპერაციო გეგმის შემუშავებისას ხდება დაფინანსების საჭიროებისა და ნაკლოვანების განსაზღვრა.</p>	<p>წლიური და 3 საოპერაციო გეგმის მომზადებისთვის შემუშავებული საჭიროებებისა და დაფინანსების ნაკლოვანებების ანგარიშები.</p>	<p>სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს ჩართულობა.</p>
<p>14.2. დაფინანსების დამატებითი წყაროების (დონორების მოზიდვისა და შემოსავლების სხვა წყაროების გათვალისწინებით) შეფასება.</p>	<p>ყოველწლიურად ხდება პოტენციური დაფინანსების წყაროების შეფასება და განახლება.</p> <p>შემუშავებულია პოტენციური დონორებისა და პარტნიორების ნუსხა.</p>	<p>დაფინანსების პოტენციური წყაროების ჩამონათვალი.</p> <p>დონორებისა და პარტნიორების ნუსხა.</p>	<p>სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს და პარტნიორების მხარდაჭერა.</p>
<p>14.3. საპროექტო წინადადებების შემუშავება და წარდგენა დამფინანსებელთან, სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან და სხვა პარტნიორებთან თანამშრომლობით.</p>	<p>ყოველწლიურად სულ მცირე ერთი საპროექტო წინადადება წარდგენილია დონორებისთვის დასაფინანსებლად.</p> <p>2029 წლამდე წარდგენილი პროექტების სულ მცირე 50% დაფინანსებულია.</p>	<p>საპროექტო წინადადებების ნუსხა.</p> <p>დაფინანსებული პროექტების ნუსხა.</p>	<p>სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს მხარდაჭერა.</p>

**მიზანი 15. ჭაჭუნის აღკვეთლის ადმინისტრაციის ძირითადი საოპერაციო ინფრასტრუქტურა და ტექნიკური ბაზა გაუმჯობესებულია.**

**ინდიკატორი 15.1: 2031 წლისთვის ჭაჭუნის აღკვეთლის ადმინისტრაციას გააჩნია გამართული ადმინისტრაციული შენობა, ვიზიტორთა ცენტრი, სხვა დამხმარე ნაგებობები და ძირითადი საოპერაციო ბაზა (საველე და საოფისე ინვენტარი და აღჭურვილობა).**

ქმედებები	ინდიკატორები	ინდიკატორის შემოწმების საშუალებები	წინაპირობა
<p>15.1. საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის, მანქანებისა და ინფრასტრუქტურის შეძენის დაგეგმვა და დაფინანსება საოპერაციო გეგმის ფარგლებში.</p>	<p>2023 წლისთვის ჭაჭუნის აღკვეთლის ადმინისტრაციას აქვს საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის, მანქანებისა და ინფრასტრუქტურის სია.</p> <p>2027 წლისთვის ჭაჭუნის აღკვეთლის ადმინისტრაციას მიღებული აქვს საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის, მანქანებისა და ინფრასტრუქტურის დაფინანსება.</p>	<p>საოპერაციო გეგმები.</p>	<p>სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს მხარდაჭერა.</p>
<p>15.2. ჭაჭუნის აღკვეთლის ადმინისტრაციისთვის შესაბამისი აღჭურვილობისა და მასალების შეძენა და მიწოდება, არსებული ბიუჯეტის საფუძველზე</p>	<p>საოპერაციო ფაზებში განხორციელებულია ყველა შესყიდვა, რომლისთვისაც ხელმისაწვდომია ბიუჯეტი.</p>	<p>შესყიდვების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.</p>	<p>სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს მხარდაჭერა.</p>
<p>15.3. ადმინისტრაციის ტექნიკური აღჭურვილობის, მანქანებისა და ინფრასტრუქტურის რეგულარული შეკეთება და განახლება.</p>	<p>საშუალოდ, წლიურად ტექნიკური აღჭურვილობის, მანქანებისა და ინფრასტრუქტურის 90% ფუნქციონირებს.</p>	<p>ტექნიკური აღჭურვილობის, მანქანებისა და ინფრასტრუქტურის ფუნქციონირების შესახებ ჩანაწერები.</p>	<p>სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს მხარდაჭერა.</p>





15.4. რეინჯერთა სადგურის შენობის რეაბილიტაცია.	2023 წლისთვის ჭაჭუნის ალკვეთილში არსებული რეინჯერთა სადგური რეაბილიტირებულია.	მიღება ჩაბარების აქტი, რეაბილიტაციის შედეგების ფოტომასალა.	სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს მხარდაჭერა.
--	---	--	--

**მიზანი 16. 2031 წლამდე პერიოდში ჭაჭუნის ალკვეთილის ადმინისტრაციის თანამშრომლების ცოდნა, შესაძლებლობები და უნარ-ჩვევები გაუმჯობესებულია.**

**ინდიკატორი 16.1.: 2031 წლამდე პერიოდში ჭაჭუნის ალკვეთილის ადმინისტრაციის თანამშრომელთა 90%-ის კვალიფიკაცია ამაღლებულია (2020 წლის CNF-ის „საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის შესაძლებლობების შეფასების“ დოკუმენტის შესაბამისად).**

ქმედებები	ინდიკატორები	ინდიკატორის შემოწმების საშუალებები	წინაპირობა
16.1. ჭაჭუნის ალკვეთილის ადმინისტრაციისთვის ტრენინგების ჩატარება მენეჯმენტის საკითხებში (ეფექტური მართვა, კონფლიქტების მართვა, კომუნიკაცია, პრევენტივისა და ინტერპრეტაციის უნარები, საზოგადოებასთან ურთიერთობები, დონორებთან კომუნიკაცია და ფონდების მოძიება).	ყოველწლიურად ტარდება სულ მცირე ერთი ორდღიანი ტრენინგი 5 მონაწილისთვის.	ტრენინგების მასალები, ტრენინგების შეფასებები, მონაწილეთა სია, ფოტომასალა.	სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს მხარდაჭერა.  დონორების დახმარება.
16.2. ჭაჭუნის ალკვეთილის ადმინისტრაციის შესაბამისი პერსონალისათვის ტრენინგების ჩატარება კომპიუტერული პროგრამების (GIS, MS Word, Excel, Access, Power point, და ა.შ.) საკითხებზე.	ყოველ 2 წელიწადში ერთხელ ტარდება, სულ მცირე, ერთი ორდღიანი ტრენინგი ჭაჭუნის ალკვეთილის თანამშრომლებისათვის, რომელსაც ესწრება თანამშრომლების მინიმუმ 80%.	ტრენინგების მასალები, ტრენინგების შეფასებები, მონაწილეთა სია, ფოტომასალა.	სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს მხარდაჭერა.  დონორების დახმარება.
16.3. შესაძლებლობების გაძლიერებისთვის აუცილებელი დამატებითი საჭიროებების შეფასება და პრიორიტეტების გამოვლენა	2023 წლისთვის ხელმისაწვდომია შესაძლებლობების გაძლიერების საჭიროებების ნუსხა.	შესაძლებლობების გაძლიერების შეფასების ანგარიში.	

### თავი 7. მენეჯმენტის გეგმის მონიტორინგი

#### მუხლი 49. ინდიკატორები და მათი შერჩევის საფუძველი

მენეჯმენტის გეგმის პროგრამის მიზნები, ქმედებები და მათთან შესაბამისობაში არსებული ინდიკატორები აღწერილია მენეჯმენტის გეგმის VI თავში (მენეჯმენტის გეგმის პროგრამები). მიზნებისა და ქმედებების ინდიკატორები შემუშავებულია მათი გაზომვადობის პრინციპით (კონკრეტული, გაზომვადი, რეალისტური, მიღწევადი და დროში დაკონკრეტებული).

#### მუხლი 50. მენეჯმენტის გეგმის მიზნების და ქმედებების შესრულების პროგრესის მონიტორინგი



მენეჯმენტის გეგმის მონიტორინგის მიზანია მართვის ადაპტური მიდგომის დანერგვა და განხორციელება. მენეჯმენტის გეგმის მუდმივი მონიტორინგი და მისი ანალიზი იძლევა შესაძლებლობებს წინამდებარე მენეჯმენტის გეგმაში საჭირო ცვლილებების განხორციელებისა და მათი ადაპტაციისათვის.

**მუხლი 51. მენეჯმენტის გეგმის მიზნებისა და ქმედებების მონიტორინგის პროცედურები და ეტაპები**

კონკრეტული დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია მენეჯმენტის გეგმის მონიტორინგს ახორციელებს ეტაპობრივად:

- ა) ყოველწლიური მონიტორინგი: ყოველი წლის ბოლოსთვის ადმინისტრაცია მოამზადებს განხორციელებული ქმედებებისა და ღონისძიებების ანგარიშს მენეჯმენტის გეგმის მე-6 თავში განსაზღვრულ და დაგეგმილ ქმედებებსა და ღონისძიებებთან მიმართებით. აღნიშნული ანგარიში წარმოადგენს სამწლიანი საოპერაციო გეგმის განხილვა-განახლების საფუძველს, რომელიც, თავის მხრივ, წლიური ბიუჯეტის განსაზღვრისა და წარდგენის საფუძველია;
